# სარბიელი

სპორტული გაზეთი — გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან   პარასკევი, 20 მაისი 1994 № 25 (100)


## მარათონი გრძელდება

„სარბიელის“ დღევანდელი ნომერი მეასეა. ამას, ჩვეულებრივ, სიმბოლურ მნიშვნელობას თუ ანიჭებენ — ასი ნომრის გამოშვება გაზეთისთვის „მოკლე მანძილად“ ითვლება, მაგრამ ჩვენთვის ეს მარათონი იყო, არცთუ სასიამოვნო თავგადასავლებით სავსე გზა, იქამდეც კი, რომ ერთი ხანობა გაზეთის გამოცემაც შეწყდა. დღევანდელმა ყოფამ არც მერე, განახლებისას დაგვაკლო თავისი „ნომრები“ და ამიტომაა, ჩვენ მეასეს, აქამდე კარგა ხნის წინ გამოსაცემს, დღესღა გთავაზობთ. უმიზეზოდ არაფერი ხდება და „სარბიელის“ დაბადებასაც თავისი მიზეზები ჰქონდა, უმთავრესი საქმის სუფთად და ახლებურად კეთების სურვილი გახლდათ, ისე, თანამედროვე სპორტს და მისი ყადრის მცოდნე ქართველ გულშემატკივარს რომ ეკადრება. ბევრი რამ სხვანაირად და უკეთ გვსურდა და გვსურს, მაგრამ რაც ამ გაჭირვება-ნერვებისწყვეტაში შევძელით, ესაა და მსაჯულიც თქვენ ბრძანდებით.

ჩვენთვის მარათონი გრძელდება...

# კაპელო 4
# კრუიფი 0

## ჩემპიონთა თასი — „მილანს“



ჩემპიონთა თასის ფინალის ამბებს მესამე გვ.რდზე წაიკითხავთ

მთლად ხელდამშვენებული ვერ ჩამოსულა გერმანიიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი ახალკაცი. ჯერჯერობით არცერთი ევროპული ნაკრები ან კლუბი არ თანხმდება ზაფხულში თბილისში ჩამოსვლაზე. არადა, თუ ასეთი ტესტ-მატჩი არ შედგა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი საშინაო მატჩების გამართვა ჩვენს ნაკრებს სხვაგან მოუწევს. თუმცა იმედი ჯერ არ გადაწურულა. სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ გრძელდება მოლაპარაკება როგორც თურქეთისა და ავსტრიის ნაკრებებთან, ასევე „ვერდერთან“.

## ლიხტენშტეინიც კი უარობს

ისიც გვითხრეს, რომ ყველაზე მეტად წინ წაიწია ავსტრიელებთან მოლაპარაკებამო. მანამდე კი თურმე თვით ჩვენსავით დებიუტანტ ლიხტენშტეინსაც კი უარი უთქვამს თბილისში ჩამოსვლაზე. ისე კი ერთ მატჩს ჩვენი ნაკრები ნაღდად გამართავს — 25 ივნისს იგი ლატვიის ეროვნულ გუნდს ესტუმრება. საოცარია, მაგრამ ჩვენი სტუმრობა... ნიგერიასაც კი სდომებია, თუმცა ახლა ამის დრო არაა — რადაც უნდა დაჯდეს, საერთაშორისო მატჩს თბილისში უნდა ვუმასპინძლოთ.

## უეფამ თუ გაიგო...

თელაველი მეკარის იოსებ გრიშიკაშვილის რუსთავის „მეტალურგში“ გადასვლამ აქამდე არნახული რეზონანსი გამოიწვია. ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის მიერ დებულების შეცვლამ და სეზონის მიწურულს გუნდიდან გუნდში გადასვლის დაშვებამ აღაფრთოვანა ქართველი მწვრთნელები, რომლებიც კარგა ხანია ამას ითხოვდნენ, მაგრამ ეს ისე უცაბედად და არაორგანიზებულად მოხდა, რომ ზოგმა გუნდმა გაიგო ცვლილების შესახებ, ზოგმაც — ვერა. სწორედ ამიტომ რუსთაველთა მიერ უპირველეს ყოვლისა სწორედ ახლადგადმოყვანილი გრიშიკაშვილის წყალობით დამარცხებული „ბათუმის“ ხელმძღვანელობამ პროტესტი გამოხატა, თუმცა, ჩვენი აზრით, მისამართი აშკარად შეეშალა და... საქართველოს პარლამენტს მიმართა, ვახტანგ გოგუაძემ კი საქმის განხილვა პარლამენტის სპორტის კომისიას დაავალა. ხუთშაბათს გამართულ შეხვედრაზე ფეხბურთის ფედერაციას წარმოადგენდა გენერალური მდივანი კვინიკაძე, რომელმაც მყის განაცხადა, რომ „ამ საქმის პარლამენტში განხილვა უხერხულობაში ჩაგვაყენებს“. საქმე იმაშია, რომ ფიფას და უეფას წესებით საფეხბურთო კონფლიქტების საფეხბურთო ორგანიზაციების მიღმა გარჩევა სასტიკად იკრძალება. ასე რომ, თუ პარლამენტის კომისია „ბათუმის“ პროტესტის თაობაზე რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას „ბათუმისთვის“ სამუდამო დისკვალიფიკაციის მიცემის სრული უფლება გაჩნდა. საბედნიეროდ, ეს კარგად ესმით სპორტის კომისიაშიც და როგორც კომისიის წევრმა დავით კუპრეიშვილმა განაცხადა, „მათ მხოლოდ რეკომენდაციის მიცემა შეუძლიათ“. საერთოდ, სხდომამ დაახლოებით ერთ საათს გასტანა და გადაწყვეტილება არ მიუღიათ, ისღა გადაწყდა, რომ კომისია დამატებით იმსჯელებს ამ საკითხზე. ისე კი, ნათლად გამოჩნდა, რომ საფეხბურთო მეურნეობაში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია. ამ თემას „სარბიელი“ კიდევ დაუბრუნდება.

იმავე დღეს იმავე კომისიაში იხილებოდა ვაჟა ჟვანიას განცხადება, რომელიც ახალკაცის წინააღმდეგაა მიმართული. სამწუხაროდ, ეს სხდომა რატომღაც მხოლოდ გაზეთი „სარბიელისთვის“ აღმოჩნდა დახურული.

## „მარჯანის“ არეკნი

ხუთშაბათს ვაკის სტადიონზე დიდი სარაგბო დღე იყო. ზედიზედ გაიმართა ქვეყნის პირველობის ორი თამაში. ჯერ თაკარა მზეში ჩემპიონმა — რუსთავის „აზოტმა“ ჯერარნახული ანგარიშით 85 (12ლ, 11გ, ს) : 17 (2ლ, 2გ, ს) მოუგო თბილისის „ყოჩებს“, რომელთა გარე ნახევარმცველადაც ითამაშა ცუნცულად ცნობილმა მალხაზ ჭეიშვილმა, ვინაც ომიდან შინ მშვიდობით დაბრუნებული კიდევ ერთი ცნობილი მორაგბეა. მასპინძლებმა პირველ ნახევარში ერთობ კარგად და ლამაზად ითამაშეს, ერთი პირობა 10:0 იგებდნენ, ნახევარი თამაში კი ფრედ 17:17 დასრულდა. დაიწყო მეორე ნახევარი და „ყოჩებს“ საჯარიმო გაუცუდდათ, მერე კი რუსთაველთა თბილისელმა შუამარბმა ჩიქვინიძემ ზედიზედ ორი ლელო დიდოსტატურად გაუტანათ და „ყოჩებიც“ სახედრებივით დაღგნენ და ყურები ჩამოყარეს, რუსთაველებმა კი მოედანზე ფიჯური შვიდკაცას ბადალი სანახაობა გამართეს.

„მერკურ“ — „თბილისის“ თამაშის მონაწილეებსა და მაყურებლებსაც უთუოდ დასცხებოდათ, იმდენად იგრძნობოდა დაძაბულობა. „თბილისს“, ვისაც საზოგადოდ გავრცელებული აზრის საპირისპიროდ თურმე „ბასი“ კი არ სპონსორობს, არამედ „საქტრანსნავთობი“, მიუზიდია „ლოკომოტივ — ელმავალ — ვესტას“ დროინდელი ვარსკვლავები გია გიუნაშვილი და თამაზ ხუადე, აგრეთვე ქუთაისელ — ტაგანროგელ — პოლონელი „შოკი“ შკანგირაძე, ვისაც თბილისის უნივერსიტეტში სწავლის მიუხედავად, აქამდე არასოდეს უთამაშია რაგინდარა თბილისის გუნდში. ამათა და ასევე ძველმა ობოლაძემ თავისიანებს მეტწილად გაამარჯვებინეს ღერეფანში, შერკინებაში, მოლში, რაქსა და ზედახორებში. მიუხედავად ამისა, წინ მაინც ერთთავად „მერკური“ იყო, მაგრამ მეორე ნახევრის 28-ე წუთზე შემცვლელად შესულმა ცნობილმა შუამარბმა მერაბ მარჯანიშვილმა ერთობ რთული პოზიციიდან ოპორტუნისტული არეკნი შეაგდო და „თბილისი“, როგორც გაირკვა, საბოლოოდ დააწინაურა, რაკილა თამაშისათვის წამატებულ დროში მერკურელი მოდებაძის მიერ საჯარიმოდან დარტყმული ბურთი რაღაც ეშმაკად კარის მარცხენა ძელის კენწეროს მოხვდა და გარეთ გადმოვარდა. „თბილისმა“ გაიმარჯვა 9 (3) (2ს, ა) : 8 (5) (ლ, ს).

12.V. შევარდენი 9 — მერკური 50 (8ლ); 18.V. ლელო 39 (6ლ) — შევარდენი 13 (ლ)

| | თ | მ | ფ | წ | — | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აია | 4 | 4 | 0 | 0 | - | 96: 27 | 10 | 8 |
| აზოტი | 4 | 3 | 0 | 1 | - | 164: 58 | 24 | 6 |
| თბილისი | 4 | 3 | 0 | 1 | - | 93: 33 | 13 | 6 |
| მერკური | 4 | 2 | 0 | 2 | 1 | 115: 49 | 17 | 3 |
| ლელო | 3 | 1 | 0 | 2 | - | 59: 82 | 9 | 2 |
| ყოჩები | 3 | 0 | 0 | 3 | - | 34:149 | 3 | 0 |
| შევარდენი | 4 | 0 | 0 | 4 | 1 | 32:195 | 2 | -1 |

## „თბილისი“ გონს მოეგო

ხუთშაბათი, 19 მაისი

თორსი — აზოტი 97:93 (50:45)
თორსი: დ. თორთლაძე (35), ი. თორთლაძე (24), ლუდუშაური (15), ტალაბაძე (12), ხარაძე (5); ცაგარეიშვილი (6)
აზოტი: კოჭლამაზაშვილი (10), კიკვიძე (8), კეჭაყმაძე (9), მიქიაშვილი (9), ბერუაშვილი (21); ქობულაძე (12), გაბისონია (12), ბარამიძე (2)

ვითა — დინამო 100:69 (43:25)
ვითა: ჩერქეზიშვილი (12), ტურაშვილი (6), კობეშავიძე (17), ორმოცაძე (4), შენგელია (19); კორძაძე, ჩუბინიძე (12), ბეჟანიშვილი (17), უძილაური (2), ბერუაშვილი (4), მაჭარაძე (1)
დინამო: მაისურაძე (2), ი.ვაშაკიძე (2), გ.ვაშაკიძე (5), ცხვედიანი (11), გოგუა (22); სამხარაძე (6), დავითულიანი (8), ბაქრაძე (4), კილაძე (9)

თბილისი — კაქტუსი 74:68 (35:30)
თბილისი: ცაგარეიშვილი (2), ახვლედიანი (7), ყარაბაკი (19), ხელაშვილი (20), დერიუგინი (9); კოკოლიშვილი (9), შავლოხაშვილი (4), აბულაშვილი (4)
კაქტუსი: ა. ყლენტი, ხოშტარია (19), აბრამიძე (5), ჩხეიძე (22), ბერძენიშვილი (2); ოთიურიძე (6), ქართველიშვილი (9), აბულაძე (5)

ამ შეხვედრას ერთბაშად ორი როლანდი სჯიდა — ერთი გელოვანი, მეორე თავად კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ხომერიკი. თამაში თავიდან ისე წარიმართა, რომ მათ ხშირად უწევდათ სტვენა და მესამე წუთზე „კაქტუსის“ ცენტრს დავით ბერძენიშვილს უკვე სამი პერსონალურიც ჰქონდა, 5.57 წუთზე კი „მწვანეების“ გუნდი მეშვიდედ დაისაჯა. თბილისელები უფრო ფრთხილნი აღმოჩნდნენ, პირველ ტაიმში გუნდური მეშვიდე ჯარიმა 12.42 წუთზე მიიღეს. „კაქტუსი“ მთელ თამაშში მხოლოდ ერთხელ, მე-8 წუთზე დაწინაურდა, როდესაც ხოშტარიამ ანგარიში 15:14 გახადა. ბოლო ხანს უხეირო თამაშის შემდეგ „თბილისი“ გონსმოსული ჩანდა, კალათბურთელები დროულად ცვლიდნენ თამაშის რიტმს და შეხვედრა დამაჯერებლად მიჰყავდათ მათთვის სასურველ ბოლომდე. ანგარიშში ყველაზე დიდი სხვაობა მეორე ტაიმის მეშვიდემერვე წუთებზე იყო — 15 ქულა. პატივმოყვარე „კაქტუსმა“ თამაშის გადასარჩენად პრესინგს მიმართა, რითაც „თბილისის“ უპირატესობა შემცირდა, მაგრამ მხოლოდ 6 ქულამდე.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვითა | 25 | 1 | 2412-1784 | 51 |
| თბილისი | 22 | 4 | 2441-1935 | 48 |
| კაქტუსი | 20 | 6 | 2240-1910 | 46 |
| დინამო | 13 | 13 | 2070-2145 | 38 |
| თორსი | 12 | 14 | 2232-2275 | 38 |
| აზოტი | 9 | 17 | 2090-2241 | 35 |

დინამოს დაკლებული აქვს ერთი ქულა

დარჩენილი მატჩების კალენდარი: **21 მაისი:** აზოტი — კაქტუსი 13.00, დინამო — თორსი 14.30, თბილისი — ვითა 16.00; **22 მაისი:** თბილისი — თორსი 13.00, აზოტი — დინამო 14.30, ვითა — კაქტუსი 16.00

შემდეგი „სარბიელი“ გამოვა ხუთშაბათს, 26 მაისს

## საქართველოს ჩემპიონატი.

### პირველი ჯგუფი

X ტური, 10 მაისი

#### კოლხეთი 4:0 გურია

ფოთი, სტადიონი „კოლხეთი"

კოლხეთი: დევაძე, მიქაბერიძე (ბულუხია), გოროზია, ღლანიძე, ქუნთელია, ცომაია, კიკლიაშვილი (თიბილაშვილი), ტორჩინავა, ჯულელი, დარასელია, ჩხაიძე

გურია: კუნჭულია, იმნაძე, თევზაძე (ჭყონია), დანელია, განიევი, ლორია, კვინტრაძე, რ. ნარიაშვილი (ა. ნარიაშვილი), პატარაია, გოგოლაძე, ქიქავა

1:0 ჯულელი (3)
2:0 ჯულელი (65)
3:0 დარასელია (79)
4:0 დარასელია (90)

მსაჯი: მ. კობიაშვილი (დუშეთი)

#### ტორპედო 3:0 ივერია

ქუთაისი, ცენტრალური სტადიონი

ტორპედო: ნიშნიანიძე, ნოზაძე, სადილინი, დიდავა, ხართიშვილი, ვოსკანოვი, ჯინჭარაძე, შეყრილაძე, მაღლაკელიძე, კვეტენაძე, ვაჩიბერაძე (ხუჭუა 46)

ივერია: გვენცაძე, ჯიკაევი, ნარმანია, ბ. ჩადუნელი, სამხარაძე, ტყემალაძე, მაქაცარია, ვეშაპიძე, ლომიძე, ქობელაშვილი, მინაშვილი

1:0 ნოზაძე (51 პ)
2:0 ხუჭუა (82)
3:0 მაღლაკელიძე (86)

მსაჯი: მ. მალალურაძე (თბილისი)

#### ბათუმი 3:0 დილა

ბათუმი, სტადიონი „დინამო"

ბათუმი: ბალაძე (მალაყმაძე 75), გოგიტიძე, შანიძე, ი. მახარაძე (ფუტკარაძე 80), შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მუჯირი, ყულეჯიშვილი, ტულუში, კანტიძე

დილა: ვოლკოვი, ბალაშვილი, ნკრილაშვილი (ჩიტაია 75), გაგნიძე, თარხნიშვილი, ლომიძე, მარეხაშვილი, ხაჭაპურიძე, ტაბატაძე, რევაზიშვილი, მინდიაშვილი

1:0 ტულუში (18)
2:0 ი. მახარაძე (42)
3:0 მუჯირი (57)

გაფრთხილება: რევაზიშვილი
მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

XI ტური, 14 მაისი

#### სამტრედია 1:2 კოლხეთი

სამტრედია, ეროსი მანჯგალაძის სტადიონი

სამტრედია: მიქაძე, იოჩანიძე, გ. ვაშაკიძე, ბზიკაძე, ტონია, ამაშუკელი, გოგიაშვილი, ჭყონია, ჯანაშია (ბაკურაძე 60), ფანჩულიძე, გენძეხაძე (ი. ვაშაკიძე 60)

კოლხეთი 1913: დევაძე, ღლანიძე, ბულუხია, მაჭავარიანი, ქუნთელია, ცომაია, კიკლიაშვილი (სიჭინავა), ტორჩინავა (თიბილაშვილი), ჯულელი, დარასელია, ჩხაიძე

0:1 ბულუხია (49)
0:2 ცომაია (60)
1:2 გოგიაშვილი (85)

მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

#### დინამო 2:1 შევარდენი

თბილისი, ეროვნული სტადიონი

დინამო: ჩხეიძე, კიკნაძე (ცქიტიშვილი 46), ჩიქოვანი, ლობჟანიძე, ნემსაძე, რევიშვილი, ინალიშვილი, ჯამარაული, იაშვილი, ყაველაშვილი (შ. ხუჯაძე 76), ანჩაბაძე

შევარდენი 1906: ჭანტურია, ელიაშვილი, ქორჩილაძე, მელქაძე, რუსია, ნადირაძე, ბაკურაძე (დანელია 75), გოგიტიძე (ტარტარაშვილი 83), გოგიჩაიშვილი, ჯიქია, ჯანაშია

0:1 ჯიქია (36)
1:1 ინალიშვილი (72)
2:1 ყაველაშვილი (74)

მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

#### მარგვეთი 0:3 ტორპედო

წყალტუბო, ცენტრალური სტადიონი

მარგვეთი: მოქაბერიძე, ენდელაძე, გაბრიჭიძე, ლანჩავა, ლონდაძე (მინაშვილი 75), სუხიაშვილი, გიორგაძე, ხუნდაძე, მეგრელაძე, მანაგაძე, შენგელია

ტორპედო: ნიშნიანიძე, ჯინჭარაძე (გიორგობიანი 78), ჩხაბერიძე, დიდავა, ხართიშვილი, ვოსკანოვი, სადილიანი, შეყრილაძე, მაღლაკელიძე, კვეტენაძე, ხუჭუა (ვაჩიბერაძე 74)

0:1 ჩხაბერიძე (64 პ)
0:2 ვაჩიბერიძე (75)
0:3 კვეტენაძე (79)

გაფრთხილება: ხუნდაძე
მსაჯი: მ. მირცხულავა (თბილისი)

#### ივერია 0:2 ბათუმი

ხაშური, ცენტრალური სტადიონი

ივერია: გვენცაძე, ვეშაპიძე, ნარმანია, ტოგონიძე, ტყემალაძე, მაქაცარია, ლომიძე, მარლიშვილი, ქობელაშვილი, მინაშვილი (10-მა ფეხბურთელმა ითამაშა)

ბათუმი: ბალაძე, გოგიტიძე, შანიძე, ი. მახარაძე, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, მუჯირი (ფუტკარაძე 14), ტულუში, კანტიძე

0:1 მაჭუტაძე (16)
0:2 მაჭუტაძე (20)

მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

#### დილა 1:1 გურია

გორი, ცენტრალური სტადიონი

დილა: ვოლკოვი, ბალაშვილი, ნკრიალაშვილი, გაგნიძე, თარხნიშვილი, ლომიძე (ჩიტაია 75), მარეხაშვილი, ხაჭაპურიძე, ტაბატაძე, რევაზიშვილი (ქიტიაშვილი 80), მინდიაშვილი

გურია: კუნჭულია, რ. ნარიშვილი, თევზაძე, განიევი, ბუცურეიშვილი, ლორია, კვინტრაძე (პატარაია 75), რეხვიაშვილი, იმნაძე, გოგოლაძე, გამცემლიძე

1:0 ხაჭაპურიძე (12)
1:1 კვინტრაძე (58)

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

XII ტური, 18 მაისი

#### კოლხეთი 3:0 დილა

დილა ფოთში არ ჩავიდა

#### ტორპედო 1:0 დინამო
#### გურია 4:2 ივერია
#### ბათუმი 0:0 მარგვეთი
#### შევარდენი 3:2 სამტრედია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი | 12 | 11 | 0 | 1 | 33-13 | 33 |
| დინამო | 11 | 10 | 0 | 1 | 34-6 | 30 |
| ტორპედო | 12 | 6 | 2 | 4 | 22-13 | 20 |
| სამტრედია | 11 | 5 | 1 | 5 | 16-18 | 16 |
| გურია | 12 | 5 | 1 | 6 | 20-31 | 16 |
| ბათუმი | 12 | 4 | 3 | 5 | 19-15 | 15 |
| ივერია | 12 | 3 | 2 | 7 | 12-27 | 11 |
| დილა | 12 | 3 | 1 | 8 | 9-24 | 10 |
| შევარდენი | 11 | 2 | 2 | 7 | 11-17 | 8 |
| მარგვეთი | 11 | 2 | 2 | 7 | 10-22 | 8 |

### XI-XIX ადგილები

X ტური, 11 მაისი

#### შუქურა 1:0 მაღაროელი

1:0 კედელაძე (90)

#### ალაზანი 3:2 მრეტები

0:1 მოსულიშვილი (10), 0:2 საჯაია (48), 1:2 შალამბერიძე (70), 2:2 გეგეშიძე (78 პ), 3:2 ყიზილაშვილი (84)

#### ოდიში 3:1 მეტალურგი

1:0 დარასელია (18), 2:0 გაბისონია (36), 2:1 პერტია (80 პ), 3:1 აფაქიძე (86)

#### სამგურალი 1:0 მაღაროელი

1:0 ვ. ფესტვენიძე (89)

XI ტური, 15 მაისი

#### საპოვნელა 1:0 ოდიში

1:0 გოდერძიშვილი (20)

#### მეტალურგი 0:2 ალაზანი

0:1 პაპიძე (15), 0:2 დოლიძე (23)

#### მრეტები 0:1 შუქურა

0:1 ნ. კაკუბავა (10)

#### მაღაროელი 3:3 კახეთი

0:1 სეფაშვილი (15), 1:1 ნიკლაური (30 პ), 1:2 შონია (43), 2:2 მწყერაშვილი (65), 3:2 ხახიშვილი (70), 3:3 სეფაშვილი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეტალურგი | 10 | 7 | 0 | 3 | 30-9 | 21 |
| ალაზანი | 10 | 6 | 2 | 2 | 16-14 | 20 |
| საპოვნელა | 10 | 6 | 0 | 4 | 14-9 | 18 |
| სამგურალი | 9 | 6 | 0 | 3 | 13-14 | 18 |
| ოდიში | 9 | 4 | 2 | 3 | 12-9 | 14 |
| შუქურა | 10 | 4 | 1 | 5 | 8-16 | 13 |
| კახეთი | 9 | 3 | 1 | 5 | 19-17 | 10 |
| მაღაროელი | 10 | 3 | 1 | 6 | 16-28 | 10 |
| მრეტები | 9 | 0 | 1 | 8 | 5-17 | 1 |

### მეორე ჯგუფი

#### აღმოსავლეთი

XXVI ტური, 10-11 მაისი: მესხეთი — მერანი-91 1:2, ნაფარეული — ჭაბუკიანი 2:4, რკონი — დურუჯი 1:5, შირაქი — თეთრი არწივი 2:3, არმაზი-90 — ბახტრიონი 3:0, არმაზი — მერანი-ბაჩო 3:3, სიონი—ანცი 0:2

XXVII ტური, 14-15 მაისი: ანცი — არმაზი 5:1, შირაქი — რკონი 6:3, თეთრი არწივი — ნაფარეული 3:0, მერანი-ბაჩო — არაგვი 1:2, ბახტრიონი — დურუჯი 1:3, ჭაბუკიანი — თორი 4:0, კრწანისი-ზოოვეტი — მესხეთი 2:0, მერანი-91 — სიონი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანცი | 27 | 23 | 2 | 2 | 72-5 | 71 |
| თეთრი არწივი | 27 | 23 | 1 | 3 | 76-20 | 70 |
| დურუჯი | 26 | 21 | 2 | 3 | 60-18 | 65 |
| ჭაბუკიანი | 27 | 14 | 2 | 11 | 53-32 | 44 |
| კრწანისი | 26 | 13 | 5 | 8 | 51-39 | 44 |
| არაგვი | 27 | 13 | 2 | 12 | 45-41 | 41 |
| მესხეთი | 27 | 12 | 4 | 11 | 52-42 | 40 |
| ნაფარეული | 27 | 12 | 2 | 13 | 48-52 | 38 |
| სიონი | 27 | 11 | 4 | 12 | 44-40 | 37 |
| მერანი-91 | 27 | 10 | 6 | 11 | 38-45 | 36 |
| ბახტრიონი | 27 | 11 | 2 | 14 | 36-46 | 35 |
| მერანი-ბაჩო | 27 | 10 | 5 | 12 | 48-58 | 35 |
| არმაზი-90 | 26 | 9 | 7 | 10 | 51-40 | 34 |
| რკონი | 27 | 8 | 1 | 18 | 39-74 | 25 |
| თორი | 26 | 7 | 4 | 15 | 31-50 | 25 |
| არმაზი | 27 | 6 | 6 | 15 | 36-42 | 24 |
| შირაქი | 27 | 6 | 3 | 18 | 28-76 | 21 |
| ქართლი | 27 | 2 | 2 | 23 | 13-72 | 8 |

#### დასავლეთი

XXIV ტური, 10-11 მაისი: ანაკო — ეგრისი 1:0, ბახმარო — სულორი 1:1, კახაბერი — კოლხეთი 1:0, მეშახტე — უნივერსიტეტი 3:3, ულუმბო — ჩხერიმელა 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეგრისი | 22 | 19 | 1 | 2 | 62-22 | 58 |
| ანაკო | 20 | 17 | 0 | 3 | 45-16 | 51 |
| კოლხეთი | 21 | 13 | 2 | 6 | 42-23 | 41 |
| მეშახტე | 20 | 12 | 4 | 4 | 45-20 | 40 |
| უნივერსიტეტი | 22 | 11 | 4 | 7 | 48-36 | 37 |
| ბახმარო | 22 | 10 | 4 | 8 | 46-38 | 34 |
| ჩხერიმელა | 20 | 10 | 3 | 7 | 48-30 | 33 |
| კახაბერი | 20 | 8 | 2 | 10 | 29-37 | 26 |
| სულორი | 22 | 6 | 6 | 10 | 30-40 | 24 |
| იმერეთი | 19 | 6 | 3 | 10 | 29-32 | 21 |
| გურია-2 | 21 | 4 | 3 | 14 | 20-45 | 15 |
| ულუმბო | 20 | 4 | 2 | 14 | 27-53 | 14 |
| ჩიხურა | 20 | 3 | 2 | 15 | 16-47 | 11 |
| უქიმერიონი | 21 | 3 | 0 | 18 | 9-55 | 9 |

# სათასო ზეიმები

წინა შაბათ-კვირას ევროპის კიდევ ოთხ ქვეყანაში გაირკვა ეროვნული თასების მფლობელები. „უემბლიზე" მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში პირველი შეჯიბრის — ინგლისის ფედერაციის თასის ფინალში ქვეყნის ჩემპიონმა „მანჩესტერ იუნაიტედმა" 4:0 მოუგო „ჩელსის" და დუბლი გააკეთა. არადა, პირველ ტაიმში თამაშს ასეთი გამანადგურებელი ანგარიშისა არაფერი ეცხო. „ჩელსი", რომელმაც გასულ ჩემპიონატში ერთადერთმა ორივე მატჩი 1:0 მოუგო ჩემპიონს, უფრო ახლოს იყო მიზანთან. განსაკუთრებით ანერვიულდნენ მანჩესტერელები, როდესაც 26-ე წუთზე კევინ პიკოკმა ბურთი ძელს გაარტყა, ტაიმის ბოლოს კი „იუნაიტედის" დანიელმა მეკარე შმაიხელმა თავისი თანამემამულე იაკობ კიელბერგის სახიფათო დარტყმა აილო. აქვე ვიტყვით, რომ იმ დღეს მოედანზე რვა (!) ქვეყნის ფეხბურთელები თამაშობდნენ და აკი კიდეც ოთხივე გოლი „ჩელსის" რუსი მეკარე ხარინის კარში ჩემპიონის უცხოელებმა შეაგდეს: ჯერ ორი პენალტი გამოიყენა ფრანგმა ერიკ კანტონამ, ვინც წლეულს ლიგის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნიეს, შემდეგ უელსის ნაკრების თავდამსხმელმა მარკ ჰიუზმა ისარგებლა მცველთა შეცდომით, ბოლო წუთზე კი შოტლანდიელმა ბრაინ მაკლეირმა მოათავა საქმე. „მანჩესტერ იუნაიტედი": შმაიხელი, პარკერი, ბრიუსი, პალისტერი, ირვინი (შარპი 86), კინი, ინსი, კანჩელსკისი (მაკლეირი 86), გიგზი, კანტონა, ჰიუზი. „ჩელსი": ხარინი, კლარკი, კიელდბერგი, იონსენი, სინკლერი, ნიუტონი, ბარლი, (ჰოდლი 68), ვაიზი, პიკოკი, სპენსერი, სტეინი (კასკარინო 79).

იმავე დღეს ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე 76 ათასი კაცი დაესწრო გერმანიის თასის 51-ე გათამაშების ფინალს, რომელშიც „ვერდერი" მეორე ბუნდესლიგის „როტ-ვაისს" ხვდებოდა. გამოცდილმა ბრემენელებმა შანსი არ დაუტოვეს გუნდს, რომელსაც ამ მატჩის მოგება თითქმის ჰაერივით სჭირდებოდა. საქმე იმაშია, რომ ლიცენზიებთან დაკავშირებული დარღვევების გამო გერმანიის ფეხბურთის კავშირი ამ გუნდის დასჯას ანუ მის ქვედა ლიგაში გაძევებას აპირებს, ამიტომ „როტ-ვაისისთვის" თასების თასზე არგასვლა შემოსავლის თითქმის ერთადერთი წყაროს მოსპობას ნიშნავდა, მაგრამ „ვერდერმა", რომელიც წაგებით ისევე რჩებოდა ევროთასების მიღმა, უკვე მე-17 წუთზე გახსნა ანგარიში ბაირსდორფერის დარტყმით. 11 წუთში ავსტრიელმა ანდრეას ჰერცოგმა კიდევ ერთი გოლი გაუტანა ესენელებს. მეორე ტაიმის დასაწყისში მეორე ბუნდესლიგელებმა ხორვატი დაუდა ბანგურას წყალობით თავის გულშემატკივრებს იმედი ჩაუსახეს, მაგრამ ეს იყო და ეს. საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე კი ახალზელანდიელმა რუფერმა უნაკლოდ შეასრულა პენალტი — 3:1. „როტ-ვაისმა" ვერ შეძლო გაეკეთებინა ის, რაც 1970 წელს „კიკერს-ოფენბახმა", 1992 წელს კი „ჰანოვერმა" შეძლო და თასი კვლავ ბუნდესლიგის წარმომადგენელს დაუტოვა.

შაბათსვე პარიზის „პარკ დე პრენსზე" ქვეყნის პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა საფრანგეთის თასი პროვინციული „ოსერის" კაპიტანს ჩააბარა. გუნდი, რომელიც 38 ათასი მაცხოვრებლით დასახლებულ ქალაქს წარმოადგენს, პირველად გახდა თასის მფლობელი. მიმომხილველებმა შეხვედრის გმირად ჟერარ ბატიკლი შერაცხეს — მან ერთი გოლი თავად გაიტანა, ორი კი მისი პასით გავიდა. „მონპელიეს" კართან საფრთხე უკვე მეორე წუთზე შეიქმნა, როცა მარტინმა ძელს გაარტყა ბურთი. მე-17 წუთზე კი მუსა საიბმ პირველი გოლი შეაგდო. „ოსერმა" მეორე ტაიმიც პირველის მსგავსად დაიწყო და 48-ე წუთზე ბატიკლმა 2:0 გახადა. 86-ე წუთზე კი მარტინმა ამჯერად ძელს აღარ დაუმიზნა და „მონპელიეს" მეკარემ მესამე ბურთი გაუშვა. სიხარულს ვერ მალავდა გამარჯვებულთა მწვრთნელი გი რუ, ვინც აგერ უკვე 33 (!) წელია „ოსერში" მუშაობს და იგი სამოყვარულო გუნდიდან ევროპაში ანგარიშგასაწევ ძალად აქცია. შეგახსენებთ, რომ შარშანდელ სეზონში უეფას თასზე „ოსერმა" თვით ამსტერდამის „აიაქსი" გააგდო და ნახევარფინალში მხოლოდ პენალტების სერიით წააგო დორტმუნდის „ბორუსიასთან".

გერმანიის მსგავსად შვეიცარიის თასის ფინალშიც გავიდა მეორე ლიგის გუნდი — „შაფჰაუზენი", თუმცა აქაც იგი პირველი დივიზიონის გუნდმა იმსხვერპლა. „გრასჰოპერსმა", ვინც ჩემპიონატის ბოლო ტურებში ჩემპიონობა „სერვეტს" დაუთმო, მთელი მატჩი უშეცდომოდ ჩაატარა და 4:0 გაანადგურა დაბალი კლასის მეტოქე, თუმცა ეს არავისთვის გასაკვირი არ იყო და ამიტომაც ბერნის სტადიონზე ფინალის საყურებლად მხოლოდ 12 ათასი კაცი მივიდა. ამ დღეს „გრასჰოპერსის" რიგებში ბოლო მატჩს ატარებდა შვეიცარიის ჩემპიონატის ბოლო სეზონის საუკეთესო ბომბარდირი, ბრაზილიელი ჯოვანი ელბერი, რომელიც უკვე კარგა ხანია... „მილანის" კუთვნილებაა და ბერლუსკონი მას ხან ვის ათხოვებს ხოლმე და ხან ვის. ამჯერად „შტუტგარტმა" გაიღო 2,2 მილიონი დოლარი და ჯოვანიც იქ ითამაშებს. ციურიხელთა მეორე ბრაზილიელის, ანდერსონ და სილვას საკითხიც მალე გადაწყდება, თუმცა ცნობილია, რომ არც ის რჩება გუნდში. რაც შეეხება ფინალს, აქ ბრაზილიელებს თავი არ გამოუჩენიათ და „შაფჰაუზენის" კარის დალაშქვრა სხვებს მოუწიათ: ჟოელ მანინმა ორჯერ, თომას ბიკელმა და რამონ ვეგამ ღირსეული გაცილება მოუწყეს სამხრეთამერიკელ ვარსკვლავებს.

ახლა მომავალ ფინალებზეც ვთქვათ. ზეგ მოსკოვში რუსეთის თასის ფინალში ორი მოსკოვური გუნდი — „სპარტაკი" და ც.ს.კ.ა. ხვდება. მატჩი 18 საათზე იწყება და მას ოსტანკინოს არხი გადმოსცემს. 28 მაისს კი უკრაინის თასის მფლობელიც გაირკვევა — კიევში ითამაშებენ ოდესის „ჩერნომორეცი" და სიმფეროპოლის „ტავრია"

## თეთრი ინგლისი — საბერძნეთი 5:0



დებიუტანტი დარენ ანდერტონი

სამშაბათს „უემბლიზე" ინგლისის ნაკრებმა ახალი მწვრთნელის ტერი ვენეიბლზის ხელმძღვანელობით მეორე ამხანაგური მატჩი გამართა და საბერძნეთი 5:0 გაანადგურა. პირველად ბოლო წლების განმავლობაში ინგლისის ეროვნული გუნდის სასტარტო შემადგენლობაში არცერთი ზანგი არ ერია. მხოლოდ 70-ე წუთზე პიტ ბერდსლის მაგივრად ვენეიბლზმა „არსენალის" ბომბარდირი იან რაიტი გამოუშვა. ბერძნებმა თამაშის მხოლოდ პირველი თხუთმეტი წუთი გაძლეს, მერე კი მასპინძელთა უპირატესობა აშკარა გახდა. 24-ე წუთზე ლე სოს პასით ანგარიში გახსნა „ტოტენჰემელმა" დარენ ანდერტონმა, ვინც ნაკრებში მეორე თამაშს ატარებდა. 12 წუთის შემდეგ დევიდ პლატის პასით ბერდსლიმ შეაგდო, ტაიმის ბოლო წუთზე კი უკვე თავად პლატმა პენალტი გამოიყენა. მეორე ტაიმის მე-20 წუთზე ანგარიში უკვე 5:0 იყო — ჯერ კვლავ პლატმა, ამჯერად შირერმა ბერძნებს საქმე მოუთავეს. ინგლისელებს ამის ...ანის სამი შესაძლებლობა, ამ დროს კი მათი მეკარე ტიმ ...ლისელთა შემადგენლობა ასეთი იყო: ფლაუერსი, ჯონ...ლდი, ადამსი, პლატი, მერსონი, შირერი, ბერდსლი (რა...ი 62). შეგახსენებთ, რომ მას შემდეგ, რაც ნაკრების მწ...ს, გუნდმა დანიას მოუგო 1:0. შემდეგ მატჩს ინგლისელ...თამაშებენ შესარჩევ ჯგუფში მათი დამაქცევარი ნორვე...

დავით მჭედლიშვილი
„სარბიელის" ლონდონელი კორესპონდენტი

## ესპანეთი

XXXVIII ტური. 15 მაისი. ბარსელონა — სევილია 5:2, ლა კორუნია — ვალენსია 0:0, სარაგოსა — რეალი 4:1, ატლეტიკი — ტენერიფე 3:2, ალბასეტე — რეალ სოსიედადი 1:1, ოსასუნა — სპორტინგი 3:0, ვალიადოლიდი — სელტა 0:0, ოვიედო — ლოგრონიესი 1:2, ატლეტიკო — რაიო ვალეკანო 2:0, სანტანდერი — ლერიდა 2:1.

„ბარსელონა" ზედიზედ მეოთხედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი და ზედიზედ მესამედ ეს ბოლო ტურში მოხდა. წინა ორჯერ „ბარსას" მშველელის როლში „ტენერიფე" გვევლინებოდა, ამჯერად კი ეს მისია „ვალენსიამ", უფრო ზუსტად, მისმა 30 წლის მეკარემ ხოსე ლუის გონსალესმა იკისრა. არადა, სასწაულის გა-



„ვალენსიის" მეკარე ხოსე ლუის გონსალესი — „ლა კორუნიას" დამაქცევარი და „ბარსელონას" მხსნელი

ნმეორებას (ანუ განმესამებას) ამჯერად ბარსელონაშიც კი არ ელოდნენ. პირველი ტაიმის შემდეგ „სევილია" იგებდა — 2:1, მაგრამ რომარიომ, ორჯერ სტოიჩკოვმა, ლაუდრუპმა და ბაკერომ მაინც ღირსეულად დაამთავრებინეს თავის გუნდს ეს მატჩი — 5:2. ამასობაში კი ლა კორუნიაში „დეპორტივო" ვერაფრით ახერხებდა გოლის გატანას კრუიფის თანამემამულე გუუს ჰიდინგის „ვალენსიას" კარში. „ნოუ კამპი" გარინდული ელოდებოდა ცნობას ლა კორუნიადან და... საფინალო სასტვენამდე 45 წამით ადრე „ვალენსიას" კარში პენალტი დაიდო პენალტი. რომლის გატანაც პირველად ისტორიაში „დეპორტივოს" ჩემპიონობას მოუტანდა. აი სწორედ აქ ნერვებმა უმტყუნა შტატიან პენალტისტს, ბრაზილიელ ბებეტოს და დარტყმაზე უარი თქვა. ბოლოსდაბოლოს, ბურთთან 1990 წელს ბელგრადის „რადიდან" გადმოყვანილი მცველი მიროსლავ ჯუკიჩი მოვიდა... წამის შემდეგ მეკარე გონსალესთან ერთად მთელი ბარსელონა ზეიმობდა.

ეს ორი მატჩი შაბათს შედგა და საკვირაოდ მხოლოდ უმაღლეს ლიგაში დამრჩენთა საკითხიღა დარჩა გასარკვევი. როგორც ბევრი ელოდა „ოვიედომ" არ შეიწუხა თავი და „ლოგრონიესიც" მოიმადლიერა. „ვალიადოლიდი" კი „რაიო ვალეკანოსთან" ერთად ახლა გადასასვლელ მატჩებს გამართავს ქვედა ლიგაში მესამე-მეოთხე ადგილებზე გასულ „ტოლედოსა" და „კომპოსტელასთან". „ლერიდასა" და „ოსასუნას" კი აღარაფერი უშველით: მათ მაგივრად მომავალ ჩემპიონატში ბარსელონის „ესპანიოლი" და სევილიის „ბეტისი" ითამაშებენ.

ბოლო ტურში მესამე ადგილიც დაკარგა მადრიდის „რეალმა", ვინც მიჩელის გოლით პირველი ტაიმის შემდეგ იგებდა, მაგრამ მეორეში ოთხი გოლი გაუშვა და 1985 წლის შემდეგ პირველად დარჩა სამეულს მიღმა. „რეალი" „ლა კორუნიასთან" და ბილბაოს „ატლეტიკთან" ერთად სექტემბრიდან უეფას თასზე გამოვა.

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა (1) | 38 | 25 | 6 | 7 | 91-42 | 56 |
| ლა კორუნია (3) | 38 | 22 | 12 | 4 | 54-18 | 56 |
| სარაგოსა (9) | 38 | 19 | 8 | 11 | 71-47 | 46 |
| რეალი (2) | 38 | 19 | 7 | 12 | 61-50 | 45 |
| ატლეტიკი (8) | 38 | 16 | 11 | 11 | 61-47 | 43 |
| სევილია (7) | 38 | 15 | 12 | 11 | 56-42 | 42 |
| ვალენსია (4) | 38 | 14 | 12 | 12 | 55-50 | 40 |
| სანტანდერი (დ) | 38 | 15 | 8 | 15 | 44-42 | 38 |
| ოვიედო (16) | 38 | 12 | 13 | 13 | 43-49 | 37 |
| ტენერიფე (5) | 38 | 15 | 6 | 17 | 50-57 | 36 |
| სოსიედადი (12) | 38 | 12 | 12 | 14 | 39-47 | 36 |
| ატლეტიკო (6) | 38 | 13 | 9 | 16 | 54-54 | 35 |
| სპორტინგი (13) | 38 | 15 | 5 | 18 | 42-57 | 35 |
| ალბასეტე (17) | 38 | 10 | 15 | 13 | 49-58 | 35 |
| სელტა (11) | 38 | 11 | 11 | 16 | 41-51 | 33 |
| ლოგრონ. (15) | 38 | 9 | 15 | 14 | 47-58 | 33 |
| რაიო ვალ. (14) | 38 | 9 | 13 | 16 | 40-58 | 31 |
| ვალიადოლ. (დ) | 38 | 8 | 14 | 16 | 28-51 | 30 |
| ლერიდა (დ) | 38 | 7 | 13 | 18 | 29-48 | 27 |
| ოსასუნა (10) | 38 | 8 | 10 | 20 | 34-63 | 26 |

## ჩემპიონთა თასი

ფინალი. ათენი, 18 მაისი

### მილანი 4:0 ბარსელონა

მილანი: როსი, ტასოტი, პანუჩი, ალბერტინი, გალი, მალდინი (ნავა 84), დონადონი, დესაი, ბობანი, სავიჩევიჩი, მასარო
ბარსელონა: სუბისარეტა, ფერერი, გვარდიოლა, კუმანი, ნადალი, ბაკერო, სერხი (ესტებარანსი 72), სტოიჩკოვი, ამორი, რომარიო, ბეგირისტაინი (ეუსებიო 52)
გოლები: მასარო (23, 45), სავიჩევიჩი (48), დესაი (59)

სუპერგუნდების სუპერფინალი არ შედგა. 18 მაისს ათენის ოლიმპიურ სტადიონზე მხოლოდ ერთი ზეგუნდი თამაშობდა, მეორე კი მხოლოდ იმიტომდა ირჯებოდა, მეტოქის ყველა შეტევის გოლად დაგვირგვინებას ხელი რომ შეეშალა. ახლა ტყუილად თუ, დაიჩემებს ვინმე — ამას ველოდი, ამას წინდაწინვე ვერავინ წარმოიდგენდა. ლეგენდარულ ფეხბურთელსა და არანაკლებ სახელოვან მწვრთნელ იოჰან კრუიფს მატჩის ბოლოს სიმწრის სიცილი წასკდა. ამ წუთებში იგი ალბათ ნანობდა, რომ ფეხბურთი კრივი არაა და თეთრი პირსახოცის მოედანზე გადაგდება არაფერს მოგცემს. კრუიფმა ამჯერადაც ვერაფერი გაწყო „მილანთან", თუმცაღა იქადნებოდა: ვიცი, ამ გუნდს როგორ მოვუგოო. ამჯერადაც იმიტომ, რომ ზუსტად 25 წლის წინათ, 1969 წლის 28 მაისს, მადრიდში, ფეხბურთელი კრუიფი ვერაფერს გახდა „მილანის" წინააღმდეგ და მისი გუნდი „აიაქსი" ჩემპიონთა თასის ფინალში 1:4 დამარცხდა. სახელგანთქმული ჰოლანდიელისთვის ისტორია განმეორდა. 18 მაისი კრუიფის ტრაგედია იყო, თუმცა მას თავი იმით შეუძლია დაიმშვიდოს, რომ მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიას ახსოვს ამგვარი კაზუსი და ეს ხშირად ემართება გუნდს, რომელიც მანქანა არ არის. ფაბიო კაპელოს „მილანი" კი მართლა ზე-



დეიან სავიჩევიჩმა (მარჯვნივ) კუმანსა და კომპანიას სისხლი გაუშრო...

# «მილანი»! კაპელო!

გუნდი ყოფილა, გუნდი, რომელიც ძალიან წააგავს მანქანას, თუმცა მასში ჭანჭიკების მაგივრად მასში ცოცხალი ფეხბურთელებია ჩამონტაჟებული. შთაბეჭდილება იქმნება, რომ კაპელოს „მილანს", თუ არ დასჭირდა და სხვადასხვა მიზეზის გამო არავის „მისცა", როგორც იტალიის ჩემპიონატში, წინ ვერავინ დაუდგება. თუნდაც [illegible]ს რად ღირს, რომ ოთხშაბათს კაპელომ [illegible]რ ან არ ათამაშა: გუნდის კაპიტანი ბარე[illegible] [illegible] ჩემპიონი ბრაიან ლაუდრუპი, [illegible]ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი პაპენი, ამავე წლების სამგზის მფლობელი ვან ბასტენი, მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი ლენტინი, რუმინელი ვარსკვლავი რადუჩიოუ და გუნდის ვეტერანი კოსტაკურტა. კრუიფის სამწვრთნელო გამოცდილება აშკარად არ ეყო იმ კაცის დამარცხებას, ვინც ერთხელ თქვა: ჩემთვის სულერთია საფეხბურთო გუნდის მწვრთნელი ვიქნები თუ უნივერმაღის დირექტორი — ჩემს საქმეს უნაკლოდ შევასრულებ. მხოლოდ შარშანდელ ფინალში მე[illegible] [illegible]რხეს კაპელოს დამარცხება და ისიც [illegible] ეშმაკის რაიმონდ გეტალსის წყალობით, თუმცა წლევანდელი ფინალის შემდეგ ის მარცხი აღარავის გაახსენდება. „მილანმა" ჩემპიონთა თასი ისე აიღო, თამაში არ წაუგია, ბურთების სხვაობა კი მართლაც ფანტასტიური აქვს — 21:2!

...ვნებათაღელვა მატჩამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო, როცა უეფამ შეხვედრის არბიტრად ჰოლანდიელი ჯონ ბლანკენშტაინი გამწესა. „მილანის" ბანაკი უმალ აფეთქდა: რას მიქვია ჰოლანდიელი მსაჯი, როცა „ბარსაში" კრუიფი და კუმანი არიან. არბიტრმა მოიგერია: ხშირად ხდება, რომ მე იმ გუნდების თამაშს ვსჯი, რომლებშიც ჩემი თანამემამულეები გამოდიან და პრეტენზია არავის გამოუთქვამსო. თითქოს ამით უნდა დამცხრალიყო ყველაფერი, მაგრამ საქმეში იტალიელი ტიფოზები ჩაერივნენ. მათ ასობით წერილი გაუგზავნეს საწყალ ბლანკენშტაინს და ათენის სტადიონზე გამოსვლის შემთხვევაში სიკვდილით დაემუქრნენ. ბოლოსდაბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ უეფამ ფინალამდე ხუთი დღით ადრე ბლანკენშტაინი ინგლისელი ფილიპ დონით შეცვალა, თუმცა კი დაამატა: მსაჯი უსაფრთხოების გამო გამოცვალეთ, თორემ მისი მაღალი კვალიფიკაცია ეჭვს არ იწვევსო.

მაღალი კვალიფიკაცია ინგლისელმა არბიტრმაც დაადასტურა, თუმცა ერთ შეცდომას ვერც ის გადაურჩა: მესამე გოლამდე რამდენიმე წამით ადრე სავიჩევიჩმა აშკარად წესების დარღვევით ითამაშა, მაგრამ იქვე თავზე ისე ლამაზად გადაუგდო ბურთი აყლაყუდა სუბისარეტას, რომ იმ გოლის არჩათვლა ცოდვა იქნებოდა. და საერთოდ, არ იქნებოდა ის გოლი, იქნებოდა სხვა, ან უკიდურეს შემთხვევაში მატჩი ასევე დამთავრდებოდა — „ბარსელონა" იმ დღეს გოლის გამტანი არ იყო. მხოლოდ პირველ ტაიმში შეძლო რომარიომ კარისკენ დარტყმა, მაგრამ მცველმა აქაც ისევე დაასწრო თავდამსხმელს, როგორც მთელი თამაშის მანძილზე. მილანელები ყველა ეპიზოდში წამის მეათედით უფრო სწრაფად ირჯებოდნენ და ესპანელებმაც ვერაფერი გააწყეს. ერთადერთი იმედი კუმანის დარტყმადა თუ იქნებოდა, მაგრამ, ჯერ ერთი, ჰოლანდიელ მცველს თავის ადგილზეც დიდი ჯაფა ელგა და მეორეც: კუმანი კი არა, იტალიელებმა აქამდე ჩაუკეტავი რომარიო და სტოიჩკოვიჩიც კი როსის კარს სათოფეზე არ მიაკარეს. ამასობაში სავიჩევიჩი, მალდინი, მასარო, დონადონი, ბობანი და განსაკუთრებით ფრანგი დესაი მოედანზე XXI საუკუნის ფეხბურთს თამაშობდნენ.

საფინალო სასტვენი, ალბათ, შვება იყო კატალონიელთათვის. „მილანის" ფეხბურთელები საპატიო ლოჟას ესტუმრნენ და იუჰანსონის ნაბოძები ჩემპიონთა თასი მილანს გააქანეს, სადაც მას გაპრემიერმინისტრებული პრეზიდენტი ბერლუსკონი ელოდა.

ზურაბ მეძველია

### ჩემპიონთა თასის ყველა ფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1956 პარიზი | რეალი (მადრიდი, ესპანეთი) | სტად დე რეიმსი (საფრანგეთი) | 4:3 |
| 1957 მადრიდი | რეალი (მადრიდი, ესპანეთი) | ფიორენტინა (იტალია) | 2:0 |
| 1958 ბრიუსელი | რეალი (მადრიდი, ესპანეთი) | მილანი (იტალია) | 3:2 |
| 1959 შტუტგარტი | რეალი (მადრიდი, ესპანეთი) | სტად დე რეიმსი (საფრანგეთი) | 2:0 |
| 1960 გლაზგო | რეალი (მადრიდი, ესპანეთი) | აინტრახტი (ფრანკფურტი, გფრ) | 7:3 |
| 1961 ბერნი | ბენფიკა (პორტუგალია) | ბარსელონა (ესპანეთი) | 3:2 |
| 1962 ამსტერდამი | ბენფიკა (პორტუგალია) | რეალი (მადრიდი, ესპანეთი) | 5:3 |
| 1963 ლონდონი | მილანი (იტალია) | ბენფიკა (პორტუგალია) | 2:1 |
| 1964 ვენა | ინტერი (იტალია) | რეალი (მადრიდი, ესპანეთი) | 3:1 |
| 1965 მილანი | ინტერი (იტალია) | ბენფიკა (პორტუგალია) | 1:0 |
| 1966 ბრიუსელი | რეალი (მადრიდი, ესპანეთი) | პარტიზანი (იუგოსლავია) | 2:1 |
| 1967 ლისაბონი | სელტიკი (შოტლანდია) | ინტერი (იტალია) | 2:1 |
| 1968 ლონდონი | მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) | ბენფიკა (პორტუგალია) | 4:1 |
| 1969 მადრიდი | მილანი (იტალია) | აიაქსი (ჰოლანდია) | 4:1 |
| 1970 მილანი | ფეიენოორდი (ჰოლანდია) | სელტიკი (შოტლანდია) | 2:1 |
| 1971 ლონდონი | აიაქსი (ჰოლანდია) | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | 2:0 |
| 1972 როტერდამი | აიაქსი (ჰოლანდია) | ინტერი (იტალია) | 2:0 |
| 1973 ბელგრადი | აიაქსი (ჰოლანდია) | იუვენტუსი (იტალია) | 1:0 |
| 1974 ბრიუსელი | ბაიერნი (მიუნხენი, გფრ) | ატლეტიკო (მადრიდი, ესპანეთი) | 4:0 |
| 1975 პარიზი | ბაიერნი (მიუნხენი, გფრ) | ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) | 2:0 |
| 1976 გლაზგო | ბაიერნი (მიუნხენი, გფრ) | სენტ-ეტიენი (საფრანგეთი) | 1:0 |
| 1977 რომი | ლივერპული (ინგლისი) | ბორუსია (მიონხენგლადბახი, გფრ) | 3:1 |
| 1978 ლონდონი | ლივერპული (ინგლიისი) | ბრიუგე (ბელგია) | 1:0 |
| 1979 მიუნხენი | ნოტინგემ ფორესტი (ინგლისი) | მალმიო (შვედეთი) | 1:0 |
| 1980 მადრიდი | ნოტინგემ ფორესტი (ინგლისი) | ჰამბურგი (გფრ) | 1:0 |
| 1981 პარიზი | ლივერპული (ინგლისი) | რეალი (მადრიდი, ესპანეთი) | 1:0 |
| 1982 როტერდამი | ასტონ ვილა (ინგლისი) | ბაიერნი (მიუნხენი, გფრ) | 1:0 |
| 1983 ათენი | ჰამბურგი (გფრ) | იუვენტუსი (იტალია) | 1:0 |
| 1984 რომი | ლივერპული (ინგლისი) | რომა (იტალია) | 1:1, პ 4:2 |
| 1985 ბრიუსელი | იუვენტუსი (იტალია) | ლივერპული (ინგლისი) | 1:0 |
| 1986 სევილია | სტიაუა (რუმინეთი) | ბარსელონა (ესპანეთი) | 0:0, პ 2:0 |
| 1987 ვენა | პორტუ (პორტუგალია) | ბაიერნი (მიუნხენი, გფრ) | 2:1 |
| 1988 შტუტგარტი | ეინდჰოვენი (ჰოლანდია) | ბენფიკა (პორტუგალია) | 0:0, პ 6:5 |
| 1989 ბარსელონა | მილანი (იტალია) | სტიაუა (რუმინეთი) | 4:0 |
| 1990 ვენა | მილანი (იტალია) | ბენფიკა (პორტუგალია) | 1:0 |
| 1991 ბარი | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) | მარსელი (საფრანგეთი) | 0:0, პ 5:3 |
| 1992 ლონდონი | ბარსელონა (ესპანეთი) | სამპდორია (იტალია) | 1:0 |
| 1993 მიუნხენი | მარსელი (საფრანგეთი) | მილანი (იტალია) | 1:0 |
| 1994 ათენი | მილანი (იტალია) | ბარსელონა (ესპანეთი) | 4:0 |

### მილანი: გზა ფინალამდე

მეთექვსმეტედფინალი
არაუ (შვეიცარია) — მილანი 0:1
პაპენი
მილანი — არაუ 0:0

მერვედფინალი
კოპენჰაგენი — მილანი 0:6
პაპენი (2), სიმონე (2), ლაუდრუპი, ორლანდო
მილანი — კოპენჰაგენი 1:0
პაპენი

ჩემპიონთა ლიგა
ანდერლეხტი — მილანი 0:0
მილანი — პორტუ 3:0
რადუჩიოუ, პანუჩი, მასარო
მილანი — ვერდერი 2:1
მალდინი, სავიჩევიჩი
ვერდერი — მილანი 1:1
სავიჩევიჩი
მილანი — ანდერლეხტი 0:0
პორტუ — მილანი 0:0

ნახევარფინალი
მილანი — მონაკო 3:0
დესაი, ალბერტინი, მასარო

## „სარბიელის" რეიტინგი

აგერ უკვე ათიოდე წელა, უეფას თასზე თითოეულ ქვეყნიდან დასაშვებ გუნდების კვოტა უეფას რეიტინგის მიხედვით დგინდება. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი კი, რომელსაც „სარბიელის" რეიტინგი დავარქვით, პირველად ქვეყნდება. მასში მოცემული გუნდები ევროთასებზე გამოსვლის მიხედვითაა დალაგებული. უეფას რეიტინგისგან განსხვავებით, ჩვენი რეიტინგი ითვალისწინებს ამა თუ იმ გუნდის მეტოქის სიძლიერეს. მაგალითად, უეფას რეიტინგისთვის სულერთია, თუ ვის მოუგო გუნდმა — კვიპროსის „ომონიას" თუ „ბარსელონას". ყველა შემთხვევაში გუნდს ეძლევა იმდენი ქულა, რამდენიც მან ორი შეხვედრის ჯამში დააგროვა. მაგრამ ხომ შეიძლება ვინმე მეოთხედფინალში ორი სუსტი გუნდის დამარცხებით გავიდეს, მეორე გუნდი კი პირველივე ეტაპზე უძლიერესთან გამოვარდეს? ამიტომაც ჩვენს რეიტინგში ეს ფაქტორი (სუსტი-ძლიერი) მხედველობაში მიიღება.

მაგალითი: ერთმანეთს ხვდებიან გუნდები, რომელთა რეიტინგია 1800 და 1500. 100-ქულიანი სხვაობა ნიშნავს, რომ გუნდების დონეში განსხვავება 1 გოლია, ე.ი. ჩვენს შემთხვევაში ორი მატჩის ჯამში პირველმა გუნდმა მეორეს უნდა მოუგოს სამბურთიანი სხვაობით, რათა შეინარჩუნოს საკუთარი რეიტინგი. თუ პირველმა გუნდმა 5 ბურთის სხვაობით მოიგო, მაშინ „ზედმეტი" 200 ქულა მრავლდება სპეციალურ კოეფიციენტზე 0,2 და მიღებული რიცხვი 40 წაემატება მის რეიტინგს, დამარცხებულს კი 40 ქულა დააკლდება. კოეფიციენტი 0,2 აღებულია იმის გამო, რათა თავიდან ავიცილოთ შემთხვევითი გამარჯვებისა და დამარცხების დროს გუნდების რეიტინგის მკვეთრი ცვლილება.

რეიტინგის უარყოფით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ერთ შემთხვევაში გამოიყენება სუბიექტური აზრი — ეს იმ დროს, როცა გუნდი პირველად გამოდის ევროთასებზე. ასეთ გუნდს მიენიჭება გარკვეული რეიტინგი. თუმცა არც ეს მაჩვენებელია ციდან ჩამოვარდნილი — ყველა ქვეყანას თავისი სიძლიერის მიხედვით აქვს ქულათა ინტერვალი (მაგ. ბულგარეთს 1500-1750) და აქედან გამომდინარე შეირჩევა დებიუტანტი გუნდის საწყისი რეიტინგი მის მიერ ეროვნულ ჩემპიონატში ნაჩვენები შედეგის მიხედვით.

„სარბიელის" რეიტინგი ითვალისწინებს გასული წლების შედეგებსაც (დაწყებული 1955-56 სეზონიდან), ქვემოთმოყვანილი რეიტინგი კი მიღებულია წლევანდელი სეზონის ჩათვლით და ასახავს დღეისთვის შექმნილ ვითარებას.

ცხრილში შევიყვანეთ ის გუნდები, რომლებიც წლევანდელ ევროტურნირებზე თამაშობდნენ. პირველ სვეტში მოცემულია გუნდების ჯამური რეიტინგი, მეორეში კი აღნიშნულია წლევანდელი ცვლილება.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მილანი | 2121 | +57 | 76 | სერვეტი | 1589 | -31 |
| 2 | ბარსელონა | 1976 | +158 | 77 | სპარტაკი (ვლადიკავკ.) | 1586 | +36 |
| 3 | არსენალი | 1946 | +187 | 78 | ლეხი | 1583 | +46 |
| 4 | აიაქსი | 1933 | -27 | 79 | ცსკა (სოფია) | 1580 | +64 |
| 5 | იუვენტუსი | 1914 | -235 | 80 | კოშიცე | 1578 | +5 |
| 6 | ინტერი | 1913 | +42 | 81 | ოფი | 1574 | +12 |
| 7 | ბაიერი (ლევერკუზენი) | 1907 | +146 | 82 | ლილესტრიომი | 1573 | +102 |
| 8 | ბენფიკა | 1896 | -60 | 83 | ბეშიქთაში | 1571 | +16 |
| 9 | პორტუ | 1895 | +41 | 84 | გკს | 1566 | +73 |
| 10 | რეალი | 1893 | +30 | 85 | მაკაბი | 1558 | +121 |
| 11 | ოსერი | 1892 | -61 | 86 | ლუგანო | 1549 | +30 |
| 12 | პსჟ | 1887 | +38 | 87 | შელბურნი | 1545 | -4 |
| 13 | მონაკო | 1863 | +107 | 88 | ფერენცვაროში | 1545 | -90 |
| 14 | პარმა | 1860 | +26 | 89 | კოპენჰაგენი | 1544 | [illegible] |
| 15 | აინტრახტი | 1855 | [illegible] | 90 | პონვედი | 1540 | [illegible] |
| 16 | პანათინაიკოსი | 1832 | -18 | 91 | არაუ | 1538 | +125 |
| 17 | კარლსრუე | 1827 | +77 | 92 | მარიტიმაუ | 1537 | -13 |
| 18 | ასტონ ვილა | 1817 | -42 | 93 | აუსტრია | 1535 | -59 |
| 19 | ბაიერნი | 1811 | +45 | 94 | კარპატი | 1529 | -20 |
| 20 | კალიარი | 1809 | +178 | 95 | კუუსუსი | 1525 | +76 |
| 21 | ტენერიფე | 1809 | +59 | 96 | ბოტევი | 1515 | -70 |
| 22 | ნორვიჩ სიტი | 1809 | +9 | 97 | ვარეგემი | 1511 | -141 |
| 23 | ანდერლეხტი | 1807 | -27 | 98 | დეგერფორსი | 1509 | +9 |
| 24 | ოლიმპიაკოსი | 1806 | +71 | 99 | დანდი იუნაიტედი | 1503 | +86 |
| 25 | ატლეტიკო | 1802 | -68 | 100 | ბრანიკი | 1496 | +114 |
| 26 | ტორინო | 1795 | -22 | 101 | კონგსვინგერი | 1491 | +241 |
| 27 | ვერდერი | 1793 | -68 | 102 | აპოლონი | 1490 | +144 |
| 28 | ბრონდბიუ | 1791 | -58 | 103 | ოდენსე | 1484 | +71 |
| 29 | ლა კორუნია | 1786 | +36 | 104 | დუნაისკა სტრედა | 1481 | -110 |
| 30 | ბორუსია (დორტმუნდი) | 1779 | -51 | 105 | კუმბრან თაუნი | 1470 | -30 |
| 31 | რეინჯერსი | 1772 | -77 | 106 | ლინფილდი | 1460 | +62 |
| 32 | ბოავიშტა | 1764 | +114 | 107 | ოლბორგი | 1460 | -28 |
| 33 | მანჩესტერ იუნაიტედი | 1764 | -18 | 108 | უნივერსიტატია | 1458 | -50 |
| 34 | კაზინო | 1739 | +292 | 109 | ვაცი | 1452 | -80 |
| 35 | სპარტა (პრაღა) | 1730 | -64 | 110 | კარდიფ სიტი | 1448 | -41 |
| 36 | სლოვანი | 1729 | +7 | 111 | მტკ | 1440 | -167 |
| 37 | სპარტაკი (მოსკოვი) | 1718 | -55 | 112 | ოლიმპია | 1439 | -12 |
| 38 | დნეპრი | 1714 | +56 | 113 | გლორია | 1436 | -64 |
| 39 | პართსი | 1700 | -7 | 114 | ლოკომოტივი (პლოვდ.) | 1430 | -42 |
| 40 | ბორდო | 1694 | +100 | 115 | ნემანი | 1424 | -76 |
| 41 | სპორტინგი | 1694 | -69 | 116 | პუბლიკუმი | 1423 | -27 |
| 42 | სელტიკი | 1687 | -4 | 117 | ბეითარი | 1423 | -77 |
| 43 | ბობი | 1678 | -104 | 118 | კორკ სიტი | 1419 | +67 |
| 44 | დინამო (ბუქარესტი) | 1677 | -36 | 119 | ჟალგირისი | 1418 | -36 |
| 45 | დინამო (თბილისი) | 1672 | -43 | 120 | რუსენბორგი | 1402 | +12 |
| 46 | ეინდჰოვენი | 1671 | -5 | 121 | აპოელი | 1394 | +19 |
| 47 | ლაციო | 1670 | +6 | 122 | ქოჯაელისფორი | 1393 | +43 |
| 48 | პაიდუკი | 1664 | -51 | 123 | ომონია | 1390 | -19 |
| 49 | ტიროლი | 1663 | +76 | 124 | ზიმბრული | 1380 | -20 |
| 50 | მეხელენი | 1650 | -16 | 125 | პარტიზანი (ტირანა) | 1362 | -109 |
| 51 | ნორჩეპინგი | 1648 | -21 | 126 | აკრანესი | 1357 | -132 |
| 52 | დინამო (მოსკოვი) | 1647 | -84 | 127 | ფლორიანა | 1352 | 145 |
| 53 | ვიტესი | 1646 | -37 | 128 | ბოჰემიანსი (დუბლინი) | 1339 | -86 |
| 54 | დინამო (მინსკი) | 1644 | -21 | 129 | პიკი | 1325 | -57 |
| 55 | იანგ ბოიზი | 1643 | -13 | 130 | რაფი | 1297 | -53 |
| 56 | ტორპედო | 1639 | -83 | 131 | სკონტო | 1297 | -94 |
| 57 | ფეიენოორდი | 1638 | -13 | 132 | ესტერსი | 1292 | -136 |
| 58 | კროაცია | 1632 | +68 | 133 | ეკრანასი | 1281 | -69 |
| 59 | აეკი | 1632 | +6 | 134 | ვალიური | 1264 | -105 |
| 60 | ანტვერპენი | 1628 | -56 | 135 | ალბპეტროლი | 1233 | -158 |
| 61 | ტვენტე | 1624 | -64 | 136 | კრუზეიდერსი | 1205 | +4 |
| 62 | სლავია (პრაღა) | 1621 | -40 | 137 | ბანგორ სიტი | 1197 | +80 |
| 63 | გალათასარაი | 1619 | -148 | 138 | ნორმა | 1148 | +34 |
| 64 | სტიაუა | 1617 | -18 | 139 | მიუპა | 1134 | -16 |
| 65 | ნანტი | 1611 | -43 | 140 | ვალეტა | 1114 | +26 |
| 66 | აიკი | 1609 | 21 | 141 | კრ (რეიკიავიკი) | 1089 | +104 |
| 67 | ტრაბზონსფორი | 1609 | -11 | 142 | უნიონი (ლუქსემბურგი) | 1059 | +23 |
| 68 | დინამო (კიევი) | 1602 | +29 | 143 | ავენირი | 1048 | +11 |
| 69 | სტანდარდი | 1601 | -181 | 144 | ნიკოლი | 1034 | -66 |
| 70 | ადმირა-ვაკერი | 1598 | -35 | 145 | შლიემა უონდერერსი | 1011 | -3 |
| 71 | აბერდინი | 1597 | +117 | 146 | ბალცერსი | 870 | +70 |
| 72 | ვალენსია | 1597 | -43 | 147 | პაფნარი | 857 | +41 |
| 73 | ლოკომოტივი (მოსკოვი) | 1590 | +40 | 148 | ი-68 (ფარერები) | 773 | -67 |
| 74 | რაპიდი (ბუქარესტი) | 1590 | -30 | 149 | დუდელანჟი | 717 | +30 |
| 75 | ლევსკი | 1589 | +125 | | | | |

# ვნახავთ, ვინა ვართ და რა შეგვიძლია...

ოთხშაბათს, 16 მაისს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის (სსჟა) ინიციატივით მოეწყო ისტორიული პრეს-კონფერენცია— ჟურნალისტთა წინაშე პირველად წარდგნენ საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრების ხელმძღვანელები, პრეს-კონფერენციას გაუძღვა სსჟა-ს პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი. სტუმართა შორის გახლდნენ ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბესიკ ლიპარტელიანი, მწვრთნელი ნოდარ ქორქია, გუნდის უფროსი ჯამლეტ ხუხაშვილი, მოთამაშე გია სანაძე, აგრეთვე კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი როლანდ ხომერიკი.



ეროვნული საკალათბურთო ნაკრების უფროსობა პრესკონფერენციაზე: ჯამლეთ ხუხაშვილი, ბესიკ ლიპარტელიანი, ნოდარ ქორქია

ჯამლეტ ხუხაშვილის შესავალი სიტყვიდან, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ეს ფაქტი გახლდათ: როგორც იქნა, მოგვიშორებია ქართული კალათბურთის უკურნებელ სენად აღიარებული მოთამაშეთა ტანდაბლობა, მოვიდა ტანმაღალ მოთამაშეთა მთელი პლეადა და ამ თვალსაზრისით ჩვენი გუნდი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო იქნებაო. შემდეგ ბატონმა ჯამლეტმა, როგორც ჟურნალისტმა, ხაზი გაუსვა მედიასა და საკალათბურთო ნაკრების მჭიდრო ურთიერთობის აუცილებლბას და ამ ახალ საქმეში თქვენი დიდი იმედი გვაქვსო — დასძინა.

ითქვა, რომ ნაკრები 1994 წლის 20 მარტს შექმნილა. მთავარი მწვრთნელი ფედერაციას დაუნიშნავს. შეთანხმებულან, გუნდს სათავეში ჩასდგომოდა შარშანდელი ჩემპიონის (ანუ „ვითას") მწვრთნელი, თანაშემწეები კი თავად მას აერჩია. ყოველი ჩემპიონატის შემდეგ მწვრთნელთა ცვლის თავიდან ასაცილებლად, ფედერაციამ გადაწყვიტა, ამ შემადგენლობამ დაახლოებით ორნახევარი წელიწადი იმუშაოს. უფრო ზუსტად, ჩაამთავროს ევროპის 1995 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი და 1996 წლის ოლიმპიადის წინასწარი ტურნირი (ეს მინიმუმია). შემდეგ კი, ვნახოთ.

ბესიკ ლიპარტელიანმა ბრძანა, მუშაობის დაწყება დღესვე შემიძლია, მაგრამ ფინანსები არ ჩანს და გაჩერებულები ვართო. მან გუნდის მომზადების სავარაუდო გეგმა მოხაზა: „ივნისის ბოლოს", შესაძლოა გავემგზავროთ მოსკოვში და ვეთამაშოთ იქაურ „დინამოს" და ცსკა-ს. იქ ვნახავთ, ვინა ვართ და რა შეგვიძლია. აგვისტოსთვის ვგეგმავთ შეკრებას ლიკანში ან თბილისში. შემდეგ მოთამაშეები კლუბებში გააგრძელებენ მზადებას ევროთასებისთვის. თუ რომელიმე ქართული გუნდი შემორჩა ევროთასებს, ოქტომბერში შეკრებას მისი კალათბურთელების გარეშე მვაწყობთ, თუ არა და, ყველა მოვიყრით თავს. იმედი გვაქვს, სადმე საახალწლო ტურნირსაც ვითამაშებთ. ამასობაში მოვა მარტი, გვეცოდინება ჩვენი მეტოქეები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ქვეჯგუფში. მეც საშუალება მექნება დღევანდელი ნაკრების 30 კანდიდატიდან 12 უძლიერესი დავასახელო. ამასობაში გაირკვა, რომ არის შესაძლებლობა, ივლისში მოეწყოს საქართველოს ნაკრების საპრეზენტაციო მატჩი. „ვითას" მოსკოვში ყოფნისას, ლიპარტელიანს უსაუბრია მოსკოვის „დინამოს" ხელმძღვანელობასთან და მათი აქ ჩამოსვლის მნიშვნელოვნად დამაბრკოლებელ მიზეზებს ვერ ხედავს.

ნოდარ ქორქია ჟურნალისტებს ძალზე არ შეუწუხებათ, ერთი ჰკითხეს, თქვენი გუნდი („თბილისი") „ვითას" კონკურენტია და თქვენ და ლიპარტელიანი ნაკრებში მუშაობისას რამეს ხომ არ დაუმალავთ ერთმანეთსო. ქორქიამ, ეს გამორიცხულია, ძლივს ნაკრები შეიქმნა, საქმის გაკეთების შანსი გაგვიჩნდა და თუ ასეთ დროს ერთმანეთს კვანტები დავუდეთ, რაღა გამოვაო.

ამასობაში ნაკრების დასაფინანსებლად იდგმება პირველი ნაბიჯები. მოსკოვში ყოფნისას ხუხაშვილი და ლიპარტელიანი შეხვედრიან ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებს და უთხოვიათ, დაგვეხმარეთ, რითაც და როგორც შეგიძლიათო. მოსკოველ ქართველებს იქვე შეუქმნიათ „ქართული კალათბურთის აღორძინების ფონდი", რომელიც უშუალოდ ნაკრების დასახმარებლადაა გამიზნული. აღუთქვიათ, თუ ნაკრები მოსკოვში იქნა, ყველაფერს გავუკეთებთო და ისიც შემოუთავაზებიათ: თუ მიზეზთა გამო საქართველოში თამაშის უფლება არ მოგეცათ, მოსკოვში კარგ პირობებს შეგიქმნით და აქ იასპარეზეთო.

ხუხაშვილი შეხვედრია ისრაელის რამდენიმე ფირმის წარმომადგენელს. ნიადაგი კი მოსინჯულა, მაგრამ კონკრეტული წინადადებები ჯერ არ ყოფილა. ბატონ ჯამლეტს უსაუბრია ავსტრიელებთანაც, თანაც, ჩვენი [illegible] რომელიმე ქართულ-ავსტრიული ერთობლივი საწარმო, რომელიც ნაკრების სპონსორობის სურვილს გამოთქვამს.

შემდეგ საუბარი შეეხო ლეგიონერების თემას. მათი უმრავლესობა ზაფხულში საქართველოში დაბრუნდება და ნაკრების ხელმძღვანელები მათ მაშინ დაელაპარაკებიან. ვინც აქ დარჩება, ხომ კარგი, ვინც არა, მათთან მჭიდრო კონტაქტი დამყარდება. აქ როლანდ ხომერიკი ჩაერთო საუბარში და მრავალი უცნობი დეტალი განმარტა. არსებობს ცნება „საკალათბურთო მოქალაქეობა". მისი მიღება შეუძლია კალათბურთელს, რომელსაც ფიბა-ს ეგიდით გამართულ შეჯიბრებაზე თავისი ქვეყნის სახელით არ უასპარეზია. ამ დოკუმენტის თანახმად კალათბურთელს უფლება აქვს ითამაშოს უცხო ქვეყნის კლუბში არაუცხოელის სტატუსით. ჩვენი რამდენიმე კალათბურთელი საბერძნეთშია და იქაური „საკალათბურთო მოქალაქეობის" მიღებას ლამობსო. ამისთვის, გვარებსაც იკეთებენო, ბრძანა ბატონმა როლანდმა და მაგალითებიც მოიყვანა: ჯაფარიძე — ჯაფარიდისია, ბაქრაძე — ხრისტიანიდისი, უსტიაშვილი — ნიკოლაიდისი („სარბიელს" არა აქვს ამ ინფორმაციის გადამოწმების საშუალება და ამიტომ მთლიანად ეყრდნობა ხომერიკის განცხადებას). მაგრამ არაუშავს, მთავარია, მათ ნაკრებში მოინდომონ თამაში და ფიბას-თან საერთოს ისეთნაირად გამოვძებნავ, მაგათი ბერძნული გვარები არავის ემახსოვრებაო — დასძინა ვიცე-პრეზიდენტმა.



ოლ-სტარის საუკეთესო მოთამაშე ვახტანგ ნაცვლიშვილი

# გუნდი და გუნდი ვარსკვლავი

ქართულმა ოლ-სტარმა ვერის ბაღში დიდძალ გულშემატკივარს მოუყარა თავი: ყველა ადგილი ხომ შეივსო, გასასვლელ-კიბეებზე მდგომებში ნემსიც ვერ ჩავარდებოდა, ბავშვებმა კი კედლებზე, ფანჯრის რაფებზე და მოედნის კიდის ხაზთანაც მოიკალათეს. ვარსკვლავთ კრებულმა დამსწრე საზოგადოებას იმედი არ გაუცრუა და თვალსასეირო სანახაობა შესთავაზა. ერთმანეთის პირისპირ ჩემპიონატის მონაწილე გუნდების თავდაპირველი დაყოფის შესაბამისად, „ა" და „ბ" ჯგუფის ნაკრებები წარდგნენ. ბანელებს „ვითას" მთავარი მწვრთნელი ბესო ლიპარტელიანი ხელმძღვანელობდა, ანელებს — ვალერი ჯგერენაია — მისი კოლეგა „თბილისიდან". სამწუხარო ის იყო, რომ ნიკოლოზ დერიუგინმა, პაატა გურასპაულმა, გია სანაძემ და დავით ბერძენიშვილმა ტრავმების გამო ვერ მიიღეს მატჩში მონაწილეობა, ესპანეთში გამგზავრებამ კი დავით თორთლაძეც გამოაკლო თამაშს. სამაგიეროდ, ვინც მოედანზე გამოვიდა, თავი არ დაუზოგავს და მრავალი ლამაზი ილეთით ასიამოვნა მაყურებელი, საბოლოოდ, გაიმარჯვეს ბანელებმა — 119:108.

„ბ": ჩერქეზიშვილი (ვითა, 7), კობეშავიძე (ვითა, 14), ჩხეიძე (კაქტუსი, 12), ვ.ნაცვლიშვილი (კაქტუსი, 30), შენგელია (ვითა, 14); ულენტი (კაქტუსი, 9), კორძაძე (ვითა, 2), ტურაშვილი (ვითა, 9), ოთიურიძე (კაქტუსი, 10), აბრამიძე (კაქტუსი, 2), ჩუბინიძე (ვითა, 4), ბეჟანიშვილი (ვითა, 6).
„ა": ცაგარეიშვილი (თბილისი, 9), ი.ვაშაკიძე (დინამო, 12), ცხვედიანი (დინამო, 26), ხელაშვილი (თბილისი, 9), ბერუაშვილი (აზოტი, 2); ქარაბაკი (თბილისი, 6), ანდღულაძე (მერანი, 10), კოკოლიშვილი (თბილისი, 19), ახვლედიანი (თბილისი, 8), მ. ნაცვლიშვილი (ჯიხვი, 7).

საგანგებო ჟიურიმ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა ვახტანგ ნაცვლიშვილი.

შესვენებაზე და თამაშის შემდეგ გაიმართა შეჯიბრება სამქულიანების სროლასა და ჩატენვებში. მსროლელთათვის ხუთ პოზიციაზე დადგეს მაგიდები. თითოეულზე ხუთ-ხუთი ბურთი დააწყვეს. გაიმარჯვებდა ის, ვინც ერთ წუთში მეტ ბურთს მოათავსებდა კალათში. ყოველი მეხუთე ბურთის ჩაგდება ორ ქულად ფასდებოდა, დანარჩენებისა თითოდ. გაიმარჯვა დინამოელმა „სნაიპერმა" შალვა ცხვედიანმა. ჩატენვების კონკურსში სხვადასხვა მიზეზთა გამო მხოლოდ ოთხი კალათბურთელი გამოვიდა. ამ საქმის ჩვენში აღიარებულ ოსტატთან ვახტანგ ნაცვლიშვილთან საბოლოო პაექრობაში გაიმარჯვა მასზე ტანმორჩილმა მალხაზ ანდღულაძემ. ქართული ოლ-სტარის გამართვის თაოსნებმა და ორგანიზატორებმა, ჟურნალისტებმა დიმიტრი ობოლაძემ და მერაბ რატიშვილმა დღის გმირებს პრიზები გადასცეს.

მალხაზ ანდღულაძე
შალვა ცხვედიანი





## საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი. ექვსეულის მეორე ტური

# ისე ყველაფერი აგიხდეთ...

სამშაბათი, 17 მაისი

დინამო — თბილისი 76:72 (34:28)
დინამო: დარსაძე (12), ი. ვაშაკიძე (20), გ. ვაშაკიძე (21), ცხვედიანი (7), გოგუა (1); სხიერელი (13), სამხარაძე, კილაძე (2)
თბილისი: ახვლედიანი (8), კოკოლიშვილი (10), ქარაბაკი (18), ხელაშვილი (7), დერიუგინი (19); ცაგარეიშვილი (8), შავლოხაშვილი (2)

ექვსეულის პირველი წრის შემდეგ ბევრმა იწინასწარმეტყველა მეორე წრეში „დინამო", სულ მცირე, ერთ ფავორიტს მაინც დაამარცხებსო. ყველაფერი ისე აგიხდეთ, როგორც ამის მთქმელთ აუხდათ. დინამოელთა პირველი საკბილო აღმოჩნდა „თბილისი", რომლის შემადგენლობაში კვლავ არ იყვნენ გურასპაული, სანაძე და ქორქია. ჭკუახელისა და მოსეშვილის ბიჭები თავიდანვე დაწინაურდნენ. პირველი ტაიმის შუაში დინამოელთა 16 ქულიდან 15 გურამ ვაშაკიძისა იყო, რომელმაც შესვენებამდე კიდევ ექვსი წაამატა მონაგარს, შესვენების შემდეგ კი ვერც ერთი. შეხვედრაში ანგარიში სამჯერ გათანაბრდა, სამჯერვე მეორე ტაიმში. პირველად (3.38 წუთზე — 34:34) და მეორედ (4.15 წუთზე — 51:51) მდევარი „თბილისი" იყო, მესამედ (18.17 წუთზე — 65:65) — „დინამო". ირაკლი ვაშაკიძემ (20-დან 16 ქულა მეორე ტაიმში მოიპოვა), ცხვედიანმა (7-დან 5), დარსაძემ (12-დან 12) და სხიერელმა, რომელიც დღითიდღე უკეთ თამაშობს, დაჯაბნეს მეტოქე, რომელიც ნირწამხდარი და გატეხილი გვეჩვენა.

თორსი — კაქტუსი 80:100 (30:49)
თორსი: დ. თორთლაძე (34), ი.თორთლაძე (16), ლუდუშაური (14), ტალაბაძე (10), ხარაძე (3); ცაგარეიშვილი (3)
კაქტუსი: ა. ულენტი (8), ხოშტარია (15), აბრამიძე (10), ჩხეიძე (24), ბერძენიშვილი (22); ოთიურიძე (12), ქართველიშვილი (3), აბულაძე (6)

„თორსის" უიღბლო შეხვედრათა სერია (საფინალო ექვსეულში გუნდმა მე-6 მარცხი განიცადა), ვერც ესპანეთიდან დაბრუნებულმა დავით თორთლაძემ შეაჩერა, თუმცაღა, მართალია, მისმა გუნდმა ამ დღესაც წააგო, მაგრამ არა ისე უნდილად, როგორც წინა მატჩებში. ამის მიზეზი სწორედ თორთლაძე იყო, რომლის შესანიშნავმა სოლო-რეიდებმა დიდად ახალისა მაყურებელი. ინტერვიუზე დავითმა ზრდილობიანი უარი გვითხრა — ესპანეთში ისეთი არაფერი მომხდარა, რაც მკითხველს დააინტრესებს, მხოლოდ ზოგადი საუბრები იყო ჩემს იქ გადასვლაზეო.

ვითა — აზოტი 94:79 (49:46)
ვითა: ჩერქეზიშვილი (5), უძილაური (7), ჩუბინიძე (14), ბეჟანიშვილი (8), შენგელია (25); კობეშავიძე (2), ტურაშვილი (17), კორძაძე (2), ორმოცაძე (6), გ. ბერუაშვილი (8), მაჭარაძე
აზოტი: კიკვიძე (6), გაბისონია (11), ქობულაძე (7), მიქიაშვილი (13), მ. ბერუაშვილი (28); კეჭაყმაძე (8), კოჭლამაზაშვილი (6), ბარამიძე, მიროტაძე

18 მაისი, ოთხშაბათი

თბილისი — აზოტი 98:85 (50:44)
თბილისი: ცაგარეიშვილი (12), კიკოლიშვილი (5), ქარაბაკი (14), ხელაშვილი (19), დერიუგინი (10); ახვლედიანი (10), აბულაშვილი (12), ჩიქოვანი, შავლოხაშვილი (16)
აზოტი: გაბისონია (8), კიკვიძე (13), მიქიაშვილი (11), კეჭაყმაძე (12), ბერუაშვილი (20); კოჭლამაზაშვილი (7), ქობულაძე (14), ბარამიძე.

ვითა — თორსი 101:72 (50:32)
ვითა: უძილაური (20), ტურაშვილი (9), კობეშავიძე (7), ჩუბინიძე (23), შენგელია (16); ორმოცაძე (4), მაჭარაძე (16), ბერუაშვილი (6)
თორსი: დ. თორთლაძე (21), ი. თორთლაძე (9), ლუდუშაური (5), ტალაბაძე (5), ხარაძე (10); ცაგარეშვილი (7), მიქაძე (7), ლომიძე (4), ფიცხელაური (4), ცინცაძე.

კაქტუსი — დინამო 95:84 (49:37)
კაქტუსი: ა. ულენტი (11), ხოშტარია (21), აბრამიძე (18), ჩხეიძე (18), ბერძენიშვილი (13); ქართველიშვილი (12), ოთიურიძე (2).
დინამო: დავითულიანი (4), ი. ვაშაკიძე (19), ცხვედიანი (24), გ. ვაშაკიძე (13), სხიერელი (2); გოგუა (8), დარსაძე (3), კილაძე (6), მაისურაძე (5).

წინა დღით „თბილისთან" მოგებული მძიმე მატჩის შემდეგ „დინამო" გადაღლილი გვეჩვენა.

საწყის ხუთ წუთში გუნდის მიერ მოპოვებული 10 ქულიდან 8 შალვა ცხვედიანმა მიითვალა, ისიც ინდივიდუალური თამაშის წყალობით. „დინამოს" მაშინაც გაუჭირდა, როცა ცენტრმა სხიერელმა ფეხი იტკინა. მის კაქტუსელ კოლეგას ბერძენიშვილს ამით ამოქმედების საშუალება მიეცა და ნაცვლიშვილის არყოფნაც არ აგრძნობინა თავისიანებს. მატჩის ბედი კი მე-9 წუთზე გადაწყდა: შეცვლაზე შემოსულმა ყველაზე „ხანდაზმულმა" კაქტუსელმა, 24 წლის გიორგი ქართველიშვილმა ზედიზედ სამი სამქულანი ჩააგდო და 27:19 დააწინაურა გუნდი. ეს რვაქულიანი უპირატესობა მატჩის მსვლელობისას 4-დან 12-მდე მერყეობდა. დინამოელებს თამაშის გადარჩენა მეორე ტაიმის მეშვიდე წუთისთვის შეეძლოთ, როცა ცხვედანმა ზედიზედ ორჯერ დაუფარა არჩილ ულენტს, ხოლო „კაქტუსს" მხოლოდ 12 ქულა ჰქონდა დაგროვებული (აქედან 9 — ხოშტრიას), მაგრამ შეტევაში ორმა უხეშმა შეცდომამ მათ ანგარიში მხოლოდ 7 ქულამდე შეამცირებინა. მატჩის ბოლო სამ წამში ორი სამქულიანი ჩავარდა — ცხვედიანის ნასროლს არჩილ ულენტმა სირენისთანავე გასცა პასუხი.

ილია ბაბუნაშვილი
ერეკლე კიკილაშვილი
მერაბ რატიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. ფლეი-ოფი. II წრე

# ილომ «ქორები» გადაარჩინა

12-18 მაისი

II წრე

## ინდიანა 3-2 ატლანტა

ატლანტა ჰოქსი — ინდიანა პეისერზი 92:69. „ინდიანამ" ფლეი-ოფების რეკორდი დაამყარა. ასე ცოტა ქულა აქამდე არავის ჩაუგდია. ძველი „მიღწევა" — 70-70 ქულა „გოლდენ სტეიტს" (1970 წელს „ლეიკერზთან") და „სიეტლს" (1982 წელს „ჰიუსტონთან") ეკუთვნოდათ. პირველი მეოთხედის დამთავრებამდე 9 წამით ადრე ატლანტელმა კევინ ვილისმა (20 ქულა) კუთხიდან ჩააგდო და 21:19 დააწინაურა თავისიანები. ამას სირენისთანავე მოჰყვა დუეინ ფერელის სამქულიანი, ხოლო მეორე მეოთხედი კრეიგ ილოს ზუსტი სროლით და ორი საჯარიმოთი და დანი მანინგის (20 ქულა) ექვსი მეტრიდან ჩაგდებული ბურთით დაიწყო. „ჰოქსი" 30:21 დაწინაურდა და ტაიმი 61:42 მოიგო. „ინდიანამ" რაც შეძლო, 8 ქულით მიუახლოვდა მეტოქეს (62:57). როცა რეჯი მილერმა (12 ქულა) სამქულიანი ჩააგდო. „ქორმა" მუკი ბლეილოკმა კარიერაში მეოთხე სამმაგი დუბლი შეასრულა. 11 ქულა, 13 პასი, 10 მოხსნა.

ინდიანა — ატლანტა 101:81. საწყისი ხუთი წუთი „ინდიანამ" 16:4 მოიგო. თუმცა მეოთხედის ბოლოსთვის თამაში გათანაბრდა და ატლანტელმა კევინ ვილისმა (14 ქულა, 12 — პირველ მეოთხედში) 24:22 დააწინაურა თავისიანები. მეორე მეოთხედში დიდი ამბები დატრიალდა: „ინდიანა" 9:2 გაიჭრა წინ. რიკ სმიტსმა (27 ქულა, 18 — პირველ ტაიმში) ფარქვეშიდან, ხოლო რეჯი მილერმა (16 ქულა, 13 — პირველ ტაიმში) გარედან გული შეუწუხეს „ჰოქსს", რომელმაც სროლათა 31 პროცენტი ჩააგდო (16-დან 5) და ფარიც 8:20 წააგო. ტაიმი „პეისერზის" სასარგებლოდ დასრულდა 53:42. ამის შემდეგ „ატლანტა" ცხრა ქულაზე მეტად ველარ დაუახლოვდა მეტოქეს.

ინდიანა — ატლანტა 102:86.

ატლანტა — ინდიანა 88:76. ატლანტელებმა პირველ მეოთხედში 22:19 მოიგეს კევინ ვილისის წყალობით. მეორე მეოთხედში „ინდიანამ" იძალა — 37:32 დაწინაურდა, მაგრამ ტაიმის ბოლო წუთები „ქორებმა" 15:4 მოიგეს და შესვენებაზე ლიდერის რანგში წავიდნენ. მეორე ტაიმში „ჰოქსის" სასტარტო ხუთეულის წევრებმა 9-დან 8 ბურთი აცილეს. მათ მხსნელად მოევლინათ სათადარიგო კრეიგ ილო (22 ქულა), ვინც ზედიზედ ხუთჯერ ჩააგდო. დამთავრებამდე 2,39 წუთით ადრე „პეისერზმა" ოთხ ქულამდე შეამცირა ანგარიში, მაგრამ კვლავ ილომ იმარჯვა და ზედიზედ ოთხი ქულა გააკეთა. მუკი ბლეილოკმა მორიგი სამმაგი დუბლი მიითვალა: 14 ქულა, 10 მოხსნა, 13 პასი.

## ჰიუსტონი 3-2 ფინიქსი

ფინიქს სანზი — ჰიუსტონ როკიტსი 102:118. ამ სერიაში მასპინძელს ჯერ არ გაუმარჯვია. „ფინიქსი" პირველ მეოთხედს 29:15 იგებდა, ტაიმს — 49:41. ჰიუსტონელმა ვერნონ მაქსველმა (34 ქულა) აიწყვიტა: მესამე მეოთხედში 15 ქულა ჩააგდო, მეოთხეში — 16 და „როკიტსი" საფუძვლიანად დაწინაურდა. „სანზმა" ორჯერ ჩამოიყვანა სხვაობა შვიდ ქულამდე ეი. სი. გრინის და კევინ ჯონსონის სამქულიანებით, მაგრამ დამთავრებამდე 1,51 წუთით ადრე მაქსველმა ანალოგიური ბურთით ანგარიში 112:102 გახადა, შემდეგ კი აკიმ ოლაჯუონის პასი გამოიყენა. „ფინიქსის" ლიდერმა ჩარლზ ბარკლიმ (18 ქულა) წაგება საკუთარ თავს დააბრალა: „არ ვიცი რატომ, მაგრამ საზიზღრად ვითამაშე. რაღაც მაინც რომ გამეკეთებინა, მოვიგებდით". „როკიტსის" მწვრთნელმა რუდი ტომიანოვიჩმა ბარკლის გამოთიშვაში თავისი გუნდელის ოთის თორფის დიდი დამსახურება აღნიშნა.

ფინიქსი — ჰიუსტონი 96:107.

ჰიუსტონი — ფინიქსი 109:86. როგორც იქნა, ამ სერიაში მასპინძელმა მოიგო. ყველაფერი თავიდან გადაწყდა, როცა „როკიტსი" 9:0 გაიჭრა წინ, პირველი მეოთხედი 32:21 მოიგო, ხოლო ტაიმი 58:37. შესვენების შემდეგ ჰიუსტონელთა ლიდერები ძირითადად სკამზე ისხდნენ, მაგრამ საქმე არ გაფუჭებულა. თუ „ჰიუსტონმა" მეექვსე მატჩშიც გაიმარჯვა, იგი გახდება ასოციაციის ისტორიაში მეორე გუნდი (1969 წლის „ლოს-ანჯელეს ლეიკერზის" შემდეგ), ვინც შინ წაგებული საწყისი ორი მატჩის შემდეგ სერიას მოიგებს. ამას ვიმეორებთ „იბერვიზიის" გადაცემა „5X5"-სთვის, ვინც ბოლო გამოშვებაში უზუსტობა დაგვაბრალა აღნიშნული ფაქტის გამო. სინამდვილეში „სარბიელს" არაფერი შეშლია, ხოლო „5X5"-ს თუ ეეჭვება, ან ინფორმაცია გადაამოწმოს, ან წაკითხულიდან შინაარსი სწორად გამოიტანოს.

## იუტა 3-2 დენვერი

იუტა ჯაზი — დენვერ ნაგითსი 104:94. იუტელმა კარლ მელოუნმა (32 ქულა, 12 მოხსნა) გააგრძელა „დენვერის" 218 სმ-იანი ზაირელი ცენტრის დიკემბე მუტომბოს წამება. მელოუნმა დამატებით ფარქვეშ ორი საჯარიმო აკიდა მუტომბოს, ისე, რომ ბურთებიც ჩააგდო. თავი სხვა ჯაზელებმაც გამოიჩინეს: ჯეი ჰემფრიზმა, დევიდ ბენუამ, ტომ ჩამბერსმა და ჯონ სტოქტონმა — 12-12 ქულა ჩააგდეს. სტოქტონმა, ვინც ზედიზედ მე-11-ედ თამაშობს ფლეი-ოფში, 8 პასი დააყოლა. დენვერელმა მაჰმუდ აბდულ-რაუფმა 23 ქულის გაკეთება მოასწრო, სანამ მუხლი ამოუტრიალდა. ლაფონსო ელისმა 20 ქულა ჩააგდო.

დენვერი — იუტა 109:111. ძირითადი დრო 98:98 დასრულდა. ოვერტაიმში გუნდები ერთმანეთს ბურთებს მორიგეობით უგდებდნენ. ეს გაგრძელდა დამთავრებამდე 1,35 წუთით ადრე, სანამ იუტელმა ჯეფ ჰორნაჩეკმა (27 ქულა) სამქულიანი არ ჩააგდო და ანგარიში 105:102 გახადა მისიანების სასარგებლოდ. შემდეგ დენვერელმა ლაფონსო ელისმა (25 ქულა, ბოლო წამებზე გავარდა) და ჯაზელმა ჯონ სტოქტონმა (24 ქულა) ექვსი მეტრიდან ჩაგდებული ბურთები გაცვალეს. ნაგითსელმა მაჰმუდ აბდულ-რაუფმა ერთ ქულამდე შეამცირა ანგარიში, რასაც დამთავრებამდე 30,2 წამით ადრე სტოქტონის მორიგი ექვსმეტრიანი მოჰყვა. ხუთი წამის შემდეგ აბდულ-რაუფი კვლავ ერთ ქულას ხდის სხვაობას, მაგრამ „იუტას" შეტევისას ელისი დაჯარიმდა და სტოქტონმა გამოიყენა ორი საჯარიმო — 111:108. მალე საჯარიმოს ხაზზე დენვერელი როდნი როჯერსი დადგა. პირველი ჩააგდო, მეორე თანაგუნდელების მოხსნის იმედით შეგნებულად აცილა, მაგრამ ჯაზელებს უკეთესი პოზიცია შეერჩიათ და ბურთი შეინარჩუნეს.

დენვერი — იუტა 83:82

იუტა — დენვერი 101:109. მატჩს ორი ოვერტაიმი დასჭირდა. ძირთადი დროის დამთავრებამდე 26 წამთ ადრე იუტელმა კარლ მელოუნმა (22 ქულა) 6 მეტრიდან ანგარიში გაათანაბრა. მის თანაგუნდელ ჯონ სტოქტონს (18 ქულა) შეეძლო მატჩის და სერიის მოგება, მაგრამ ბოლო წამზე ააცილა. პირველი ოვერტაიმის დამთავრებამდე 2,30 წუთით ადრე მელოუნმა სამქულიანით 92:87 დააწინაურა „ჯაზი", რასაც „ნაგითსის" 6 უპასუხო ქულა მოჰყვა. ტომ ჩამბერსმა კვლავ „იუტა" გაიყვანა წინ, მაგრამ დიკემბე მუტომბომ 2-დან ერთი საჯარიმო ჩააგდო და მეორე ოვერტაიმიც დაინიშნა. აქ ივარგა მაჰმუდ აბდულ-რაუფმა (22 ქულა), ვინც „ნაგითსის" 15 ქულიდან 5 გააკეთა. მისი გუნდი მეექვსე თამაშს შინ გამართავს.

## ნიუ-იორკი 3-2 ჩიკაგო

ჩიკაგო ბულზი — ნიუ-იორკ ნიქსი 104:102. პირველი ტაიმის ბოლოს უწყინარ სიტუაციაში ჩიკაგოელი ჯო ჯო ინგლიში და ნიუიორკელი დერიკ ჰარპერი წაიკიდნენ. ინგლიშმა პირველმა დაარტყა მეტოქეს. ჰარპერმა ეგრე არ უნდაო და კულა გლდანელს რომ შეშურდებოდა, ისეთი მოგვერდით დაახეთქა მოედანზე ჩიკაგოელი. ჩხუბში ორივე გუნდის წევრები ჩაერთნენ და 10 წუთის განმავლობაში სანქებო წიხლაობა მიდიოდა. ბოლოს „ნიქსის" ღვაწლმოსილი მწვრთნელი პატ რაილი მუხლებზე ხოხვით აშველებდა კალათბურთელებს. ეს ყველაფერი მოხდა უპატივცემულესი გვამის — ასოციაციის კომისარის დევიდ შტერნის ცხვირწინ, რომელიც მესამე რიგში მოკალათებული უცქერდა თამაშს. ინგლიში და ჰარპერი მოედნიდან გააგდეს. მეორე დღეს ჰარპერს ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია მისცეს და 15 ათასი დოლარი გადაახდევინეს, ინგლიში ერთ თამაშს გამოტოვებს, თანაც 10 ათას დოლარს იხდის. ჩხუბში მონაწილე დანარჩენი 15 კალათბურთელი 2500-2500 დოლარით დააჯარიმეს. „ნიქსი" მთელი თამაშის მანძილზე ჩამორჩებოდა. მესამე მეოთხედში „ხარები" 22 ქულითაც იყვნენ წინ, მაგრამ მატჩის ბოლო წუთებში პატრიკ იუნგმა (34 ქულა, 14 — მეოთხე მეოთხედში) ზედიზედ 10 ქულა ჩააგდო და დამთავრებამდე 1,8 წამით ადრე ანგარიში 102:102 გახდა. აქ „ჩიკაგომ" წუთშესვენება აიღო. თამაშის განახლების შემდეგ პიტ მაიერსმა მოედნის კიდიდან მისცა პასი ტონი კუკოჩს. „ბულზის" ხორვატმა შემოტრიალებით ესროლა და სერიის ანგარიში 2:1 გახადა. კუკოჩმა წლეულს მეოთხედ შეასრულა სირენისთანავე ისეთი სროლა, რომელმაც მის „ჩიკაგოს" გამარჯვება მოუტანა.

ჩიკაგო — ნიუ-იორკი 95:83.

ნიუ-იორკი — ჩიკაგო 87:86.

[illegible]






# ვინლა დაეწევა შუმახერს?

ზღაპრულ მონტე-კარლოს ქუჩებში რბოლა ერთ-ერთი უძველესი შეჯიბრებაა ავტოსპორტის ისტორიაში. მრბოლები აქ პირველად 65 წლის წინათ, 1929 წლის 14 აპრილს დადგნენ სტარტზე. ცხადია, მაშინ ფორმულის ხსენებაც არ იყო, თუმცა იმჟამინდელი სარბოლო მანქანები, დროის კვალობაზე, საკმაოდ სწრაფად დაქროდნენ. მას შემდეგ მათი სიჩქარე ლამის გაორმაგდა, მონტე-კარლოს ურთულესი პროფილის აღმართ-დაღმართოვანი ვიწრო ტრასა კი იგივე დარჩა.

1950 წელს მონაკოს „გრან-პრი" ლეგენდარულმა არგენტინელმა ხუან მანუელ ფანხიომ მოიგო. შემდგომ „კაზინოს გარშემო რბოლაში" ბევრმა პილოტმა ისახელა თავი. მათგან მონტე-კარლოს სპეციალისტებად ითვლებოდნენ ბრაზილიელი



კარლ ვე: დლინგერი რამდენიმე დღეა. სულთმობრძავია

აირტონ სენა, რომელმაც ექვსჯერ დაიმსახურა მონაკოს „დიდი პრიზი" და ინგლისელი გრეჰემ ჰილი, რომლის აქტივშიც 5 გამარჯვება იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო ათი წელი იქ მხოლოდ ორი სუპერპილოტი იმარჯვებდა — სენა და ფრანგი ალენ პროსტი.

ფორმულის ყველაზე მოკლე, 3328-მეტრიანი ტრასა ყველაზე ლამაზიცაა და ყველაზე ძნელიც. პილოტებს წამდაუწუმ უხდებათ სიჩქარის გადართვა, რასაც ბევრი მანქანა ვერ უძლებს. მძღოლებსაც არასრულ ორ საათში დიდი ჯაფა ადგებათ. ამ ვიწრო და ყველაზე ნელ ტრასაზე, სადაც გასწრება პრაქტიკულად შეუძლებელია, დიდად მნიშვნელოვანია უმჯობესი სასტარტო პოზიცია და მოსახვევების ზუსტად გავლის უნარი. ერთი სიტყვით, კაზინოების საქვეყნო ცენტრის ტრასა იმდენად რთულია, რომ იქ არა თუ გამარჯვება, ექვსეულში მოხვედრა და ერთი-ორი ქულის შოვნაც დიდ მიღწევად ითვლება.

იმოლას ტრასაზე აირტონ სენასა და ავსტრიელ როლანდ რაცენბერგერის დაღუპვის გამო ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობა კვლავაც კრიტიკის ქარცეცხლშია მოქცეული.

შარშან, აგვისტში, როგორც კი გამოცხადდა ბოლიდების კონსტრუქციაში ზოგიერთი აკრძალვის შესახებ, რასაც, რეფორმატორთა აზრით, უნდა გაეთანაბრებინა გუნდების შანსი და რბოლებიც უფრო საინტერესო გაეხადა, ბევრი, როგორც აღმოჩნდა, ფედერაციის თავკაცებზე უფრო ჭკუადამჯდარნი, მაშინვე გამოთქვამდა შეშფოთებას საყოველთაო ნიველირების გამო. მათი თქმით, ბოლიდები ბორბლებზე შემდგარი კუბოები გახდა და აკი ასე სწრაფად ახდა კიდეც წინასწარმეტყველება.

გამოსავლის ძებნაში ფედერაცია ხელახალი შეზღუდვების შემოღებას აპირებს, რაც ალბათ მოიტანს კიდეც სასურველ შედეგს.

1 მაისს „იმოლაზე" მომხდარი ტრაგედიის შემდეგ პილოტთა უსაფრთხოებაზე იზრუნეს და მონტე-კარლოს ტრასის განსაკუთრებით საშიშ მოსახვევებში ალაგ-ალაგ დამცავი ტომრები განალაგეს. მაგრამ მორიგი კატასტროფა მაინც ვერ აიცილეს თავიდან. ხუთშაბათს, პირველივე კვალიფიკაციისას, ავსტრიელი კარლ ვენდლინგერის „ზაუბერ-მერსედესი" გვირაბიდან დიდი სიჩქარით გამოსული მოსახვევის მანიშნებელ ბეტონის მრავალტონიან ფილას მიენარცხა. გონდაკარგული პილოტი სასწრაფოდ გააქანეს კლინიკაში, სადაც ტვინის მძიმე დაზიანება დაუდგინეს. 25 წლის ვენდლინგერი ჯერაც კომატოზურ მდგომარეობაშია და ექიმთა ვარაუდით, გადარჩენის შემთხვევაშიც კი ალბათ, სამუდამოდ ხეიბარი დარჩება. ავსტრიელი პილოტის ტრაგედია გულთან ახლოს მიიტანა მონაკოს პრინცმა ალბერტმა, რომელიც მზად იყო თავისი უფლებამოსილებით აეკრძალა რბოლა, თუკი სპორტსმენი ვერ გადარჩებოდა. ეს კი მართლაც უპრეცედენტო შემთხვევა იქნებოდა.

კვირას მაინც გამართულ რბოლაში „ზაუბერს" არც ერთი მანქანა არ გამოუყვანია. „უილიამსი" ამჯერად მხოლოდ დეიმონ ჰილით იყო წარმოდგენილი. ფრენკ უილიამსს ჯერაც ვერ მოუძებნია სენას შემცვლელი. კანდიდატი რამდენიმეა, მათ შორის ფორმულის ვეტერანი, 39 წლის რიკარდო პატრეზე, რომელიც 256-ჯერ გამოსულა სტარტზე.

ამჯერად პირველი პოზიცია გერმანელ მიხაელ შუმახერის „ბენეტონს" ეკავა. შემდეგ იდგნენ მიკა ჰაკინენი („მაკლარენი"), გერჰარდ ბერგერი („ფერარი"), ჰილი და „ფერარის" მეორე პილოტი ჟან ალეზი, რომელმაც ტრავმის გამო წინა ორი ეტაპი გამოტოვა.



რბოლას დასაწყისშივე გამოეთიშა გამარჯვების ორი პრეტენდენტი: პირველივე მოსახვევში „უილიამსის" ოდნავი წაკარება ჰაკინენის „მაკლარენთან" საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ორივე მანქანა მწყობრიდან გამოსულიყო.

შუმახერის სასწაულმოქმედი „ბენეტონ-ფორდი" კი თავიდანვე საგრძნობლად დაწინაურდა. თუმცა ეს მხოლოდ მანქანის დამსახურება არ უნდა იყოს, ვინაიდან უკვე ასიოდე კილომეტრის გავლის შემდეგ გერმანელმა ერთი წრით ჩამოიტოვა თანაგუნდელი იურკი-იარვი ლეჰტო. „ფორდის" ქებულმა ძრავმა ამჯერადაც საათივით იმუშავა მონტე-კარლოს ურთულეს ტრასაზე და უზარმაზარი უპირატესობით გაამარჯვებინა ჩემპიონატის ლიდერს სალესოდ, 25 წლის შუმახერის ანგარიშზეა 6 გამარჯვება 41 რბოლაში და 149 ქულა.

**გია ახალაძე**

15 მაისი. მონაკოს „გრან-პრი". ტრასა გადის მონტე-კარლოს ქუჩებში. წრის სიგრძე 3328 მ. 78 წრე (259,6 კმ).

1. მიხაელ შუმახერი („ბენეტონი"); 2. მარტინ ბრანდლი („მაკლარენი") — ჩამორჩა 37,28 წამით; 3. გერჰარდ ბერგერი („ფერარი") — 1 წუთით და 13 წამით; 4. ანდრეა დე ჩეზარისი („ჯორდანი") — 1 წრით; 5. ჟან ალეზი („ფერარი") — 1 წრით; 6. მიკელე ალბორეტო („მინარდი") — 1 წრით; 7. იურკი-იარვი ლეჰტო („ბენეტონი"); 8. ოლივიე ბერეტა („ლარუსი"); 9. ოლივიე პანი („ლიჟიე"); 10. ერიკ კომა („ლარუსი"); 11. პედრო ლამი („ლოტუსი"); 12. ჯონი ჰერბერტი („ლოტუსი").

გუნდური ჩათვლა: 1. „ბენეტონი" — 40 ქულა; 2. „ფერარი" — 22; 3-4. „მაკლარენი" და „ჯორდანი" — 10; 5. „უილიამსი" — 7; 6. „ზაუბერი" — 6; 7. „ტირელი" — 4; 8. „ეროუზი" — 3; 9-10. „ლარუსი" და „მინარდი" — 1.



| | პილოტი | გუნდი | ბრაზილია | წყნარი ოკეანე | სან-მარინო | მონაკო | ესპანეთი | კანადა | საფრანგეთი | ინგლისი | გერმანია | უნგრეთი | ბელგია | იტალია | პორტუგალია | არგენტინა | იაპონია | ავსტრალია | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მიხაელ შუმახერი გერმანია | „ბენეტონი" | 10 | 10 | 10 | 10 | | | | | | | | | | | | | 40 |
| 2 | გერჰარდ ბერგერი ავსტრია | „ფერარი" | | 6 | | 4 | | | | | | | | | | | | | 10 |
| 3 | დეიმონ ჰილი დიდი ბრიტანეთი | „უილიამსი" | 6 | | 1 | | | | | | | | | | | | | | 7 |
| 3 | რუბენს ბარიჩელო ბრაზილია | „ჯორდანი" | 3 | 4 | | | | | | | | | | | | | | | 7 |
| 5 | ნიკოლა ლარინი იტალია | „ფერარი" | | | 6 | | | | | | | | | | | | | | 6 |
| 5 | ჟან ალეზი საფრანგეთი | „ფერარი" | 4 | | | 2 | | | | | | | | | | | | | 6 |
| 5 | მარტინ ბრანდლი დიდი ბრიტანეთი | „მაკლარენი" | | | | 6 | | | | | | | | | | | | | 6 |
| 8 | მიკა ჰაკინენი ფინეთი | „მაკლარენი" | | | 4 | | | | | | | | | | | | | | 4 |
| 8 | კარლ ვენდლინგერი ავსტრია | „ზაუბერი" | 1 | | 3 | | | | | | | | | | | | | | 4 |
| 8 | იუკიო კატაიამა იაპონია | „ტირელი" | 2 | | 2 | | | | | | | | | | | | | | 4 |

11. კრისტიან ფიტიპალდი ბრაზილია, „ეროუზი", ანდრეა დე ჩეზარისი იტალია, „ჯორდანი"—3-3; 13. ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი გერმანია, „ზაუბერი"—2; 14. ერიკ კომა საფრანგეთი, „ლარუსი", მიკელე ალბორეტო იტალია, „მინარდი"—1-1.

# სარბიელი

მსოფლიოს XV ჩემპიონატის დაწყების წინ გაიხსნება

## გაზეთ „სარბიელის“ კლუბი სპორტის მოყვარულთათვის

ეს იქნება გულშემატკივართა თავშეყრის ადგილი და ყველაფერი მათი ინტერესების გათვალისწინებით გაკეთდება

მოეწყობა შეხვედრები სპორტის ვარსკვლავებთან. ჩატარდება სხვადასხვა სახის ვიქტორინა და კონკურსი. დარბაზში დამონტაჟებული ეკრანები დაეთმობათ სატელიტური ანტენით მიღებულ სპორტულ რეპორტაჟებს და სპორტულ ვიდეოპროგრამებს

იმუშავებს «სარბიელის» ტოტალიზატორი CROCO

სტუმრებს მოემსახურება კაფე-ბარი

კლუბი იმუშავებს თბილისში, სასტუმრო აჭარის მე-18 სართულზე

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ «სარბიელის» რედაქციაში სამშაბათობით და პარასკეობით 11-დან 14 საათამდე ან დარეკეთ 39-48-29

## ტოტოლოტო
### საფეხბურთო პროგნოზი

ტირაჟი № 17 — 3-5 ივნისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| | ამხანაგური მატჩები |
| 1 | იტალია – შვეიცარია (I ტაიმი) |
| 2 | იტალია – შვეიცარია (II ტაიმი) |
| 3 | კანადა – ბრაზილია (I ტაიმი) |
| 4 | კანადა – ბრაზილია (II ტაიმი) |
| 5 | ავსტრია – გერმანია (I ტაიმი) |
| 6 | ავსტრია – გერმანია (II ტაიმი) |
| | უკრაინის ჩემპიონატი |
| 7 | ნივა (ვინიცა) – ნივა (ტერნოპოლი) |
| 8 | ზარია – ტავრია |
| 9 | ბუკოვინა – კარპატი |
| 10 | ტემპი – დნეპრი |
| 11 | ტორპედო – ჩერნომორეცი |

უკრაინის ჩემპიონატის ცხრილი გამოკრულია ტელეგრაფის შენობაში

### ჩვენთან ნუ ითამაშებთ!

ტოტოლოტო ქართული საფეხბურთო პროგნოზის ფლაგმანია. ტოტოლოტო ყოველთვის ცდილობდა, რაც შეიძლება უკეთესი პირობები შეექმნა მოთამაშეებისათვის. ტოტოლოტო ახლაც რისკზე წავიდა და საფეხბურთო პროგნოზის ერთგული გულშემატკივრების აზრის გათვალისწინებით ასე ჩამოაყალიბა მოგებებთან დაკავშირებული დებულება. იმის მიუხედავად, რამდენი მოთამაშე გამოიცნობს თერთმეტივე შედეგს, მოგებები ასე განაწილდება: კუპონებზე – 10 000 000 კუპონი, მანეთებზე – 200 000 მანეთი,. შესაბამისად, ვარიანტის ფასი კუპონებში – 5 000 კუპონი, მანეთებში – 100 მანეთი.

ბილეთის ფასი 3 000 კუპონი.

**ბიჭებო! თუ უკეთეს პირობებს შემოგთავაზებენ, ჩვენთან ნუ ითამაშებთ!** იგებს მხოლოდ ის, ვინც ჩვენთან რჩება! სადაც იყო ტოტოლოტო ისევ იქაა.

შევსებული ბილეთების ჩაბარების ბოლო ვადა: თბილისში – ყოველი კვირის ხუთშაბათი, 15 საათამდე, ცენტრალური ტელეგრაფის შენობაში.
ცნობებისათვის დარეკეთ: 96-32-61


**ტურისტული ფირმა „იმედი-92“**
**გთავაზობთ მოგზაურობას შემდეგ ქვეყნებში:**

**ჰოლანდია-ბელგია.** პირველად თბილისიდან პირდაპირი რეისი თბილისი – ამსტერდამი. გასვლა 25 მაისს. ფირმა დაგეხმარებათ მანქანების შეძენაში. სასწრაფოდ დაგეხმარებით „ბენი-ლუქსის“ გახსნაში.

**ეგვიპტე** (ქაირო-ალექსანდრია) – მგზავრობა თვითმფრინავით პირდაპირი რეისით თბილისიდან თბილისამდე.

**საბერძნეთი** (სალონიკი) – მგზავრობა თვითმფრინავით პირდაპირი რეისით, ასევე ავტობუსით.

**ბულგარეთი** (ვარნა) – თურქეთის გავლით. გასვლა თბილისიდან „მერსედესის“ ტიპის ავტობუსით.

**ლიბანი** (ბეირუთი) – მგზავრობა თვითმფრინავით. პირდაპირი რეისი, პირველად თბილისიდან.

**სინგაპური** – მგზავრობა თვითმფრინავით. პირდაპირი რეისი, პირველად თბილისიდან.

**ჩინეთი** (ხარბინი) – მგზავრობა თვითმფრინავით. პირდაპირი რეისი, პირველად თბილისიდან.

**ჩვენი მისამართია: ალ. ყაზბეგის გამზ. 42, ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტრო,** IV სართული. ტელეფონები: 39-36-78; 38-11-14; 39-24-32.

**იყიდება**

**მოსკვიჩი 2141, 03-ის ძრავით, 1991 წელს გამოშვებული ბენზინმზიდი ზილ-131, სამხიდიანი, ტევადობა 8 200 ლ.**

ტელეფონი 39-36-78

**Unlimited Hot Water**




იყიდება

ისრაელის წარმოების

წყლის გამაცხელებელი

**ATMOR SUPER-5**

(5 კვტ. 220 ვ.)

ფასი **80 $.**

ტელ. 39-36-78

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი

# დეტექტივივით, ბოლოსდა...

**ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის ბოლოსწინა, მესამე წრემ კიდევ უფრო გამოკვეთა ლიდერის „სტუ-შევარდენის" უპირატესობა. ტურის დაწყებამდე გუნდი ერთი ქულით უსწრებდა მთავარ კონკურენტს „ამირანს", ასე რომ, მეტოქეთა უშუალო შეხვედრის შედეგს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.**

შევარდენი — ამირანი 22:22 (13:11).

შევარდენი: ბუთიკაშვილი, ბოყოჩაძე (6), მჟავანაძე (5), ორჯონიკიძე (3), თურქია (3), კეკელიძე (3), მეიფარიანი (2), ურუშაძე.

ამირანი: ქოქოსაძე, თორდია (10), ანდრიაშვილი (4), კერესელიძე (4), როგავა (2), გელაშვილი (2), ბაბაჯანი, იუნანოვი.

სტუდენტებმა ანგარიში პირველივე წუთზე გახსნეს (ბოყოჩაძე) და მთელი ტაიმიც ლიდერობდნენ. რამდენჯერმე სხვაობამ ოთხ ბურთსაც მიაღწია. შესვენების შემდეგ ორმეტრიანი ფორვარდის კობა თორდიას მცდელობით „ამირანმა" თამაშში გარდატეხა შეიტანა და ორი ბურთითაც დაწინაურდა, თუმცა შევარდნელებმა მალე გამოასწორეს მდგომარეობა და საფინალო სასტვენამდე 5 წუთით ადრე თავად გავიდნენ წინ ორი ბურთით — 22:20, მაგრამ დარჩენილ დროში ვერ შეძლეს უპირატესობის შენარჩუნება, ბოლო წუთზე გოლის გატანის ჩინებული შესაძლებლობაც გაუშვეს ხელიდან და საბოლოოდ ფრეს დასჯერდნენ.

მამული — ამირანი 32:27 (18:13).

მამული: ჯაფარიძე, გაბრიჩიძე (11), მჭედლიშვილი (6), უშვერიძე (5), ჯიაძე (4), არსენაშვილი (4), ბარათაშვილი (2).

ამირანი: დავით ბერიკაშვილი, თორდია (8), კერესელიძე (7), ბაბაჯანი (4), ანდრიაშვილი (3), როგავა (2), იუნანოვი (1), შათირიშვილი (1), გელაშვილი (1), ხურციძე.

„მამულმა" კარგა ხანია დაკარგა ჩემპიონობის შანსი და უკეთეს შემთხვევაში მეორე ადგილის დაკავება შეუძლია, თუკი ყველა დარჩენილ შეხვედრას მოიგებს.

მატჩის დასაწყისში აშკარა იყო „ამირანის" უპირატესობა — 7:3, 9:5. შუა ტაიმში „მამულმა" მოახერხა ინიციატივის ხელში ჩაგდება და 6 წუთის განმავლობაში გოლი არ გაუშვია, თავად კი 6 გაუტანა მეტოქეს — 11:9. მეორე ნახევარში „ამირანმა" ხუთბურთიანი ჩამორჩენა კი დაძლია, მაგრამ შემდეგ ისევ „მამულმა" იძალა და დამაჯერებლად, თუმცა მოულოდნელად გაიმარჯვა. მოგებულთაგან გამოთყოფდით ზაზა გაბრიჩიძის თამაშს: გუნდის ბომბარდირმა მართლაც საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა.

დაძაბული ბრძოლაა მეოთხე ადგილისათვის (რაც ევროპის ქალაქების თასზე გამოსვლის უფლებას იძლევა) „სტუ-ორბსა" და სამტრედიის „ახავას" შორის. აღსანიშნავია „ახავას" მოთამაშეთა მონდომება, რომლებმაც წინა ტურის გამოტოვებულ შეხვედრაში სძლიეს კონკურენტს. „ორბში" კი გამოვყოფთ მეკარე სპარტაკ ქისიევის საიმედო თამაშს, გია ქობელაშვილის შედეგიანობას და 16 წლის ახალბედა მიშიკო ჩიხლაძის იმედისმომცემ დებიუტს.

ყველაფერი გაირკვევა დასკვნით ტურში, რომელიც სამშაბათს დაიწყება.

ᲒᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ

სხვა შედეგები: 13 მაისი. „მამული" — ჭაბუკთა ნაკრები 27:21, „ორბი" — „ახავა" 25:22. 14 მაისი. „შევარდენი" — „ორბი" 34:23, „ახავა" — ჭაბუკთა ნაკრები 36:24.

წინა ტურის გამოტოვებული შეხვედრები: „ახავა" — „ორბი" 17:16, „ახავა" — ჭაბუკთა ნაკრები 34:28.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შევარდენი | 19 | 15 | 3 | 1 | 534:385 | 33 |
| ამირანი | 19 | 14 | 2 | 3 | 552:415 | 30 |
| მამული | 19 | 13 | 1 | 5 | 607:482 | 27 |
| ორბი | 19 | 5 | 0 | 14 | 505:576 | 10 |
| ახავა | 19 | 4 | 0 | 15 | 259:405 | 8 |

## ბომბარდირები

სიას (გატანილი გოლები, ჩატარებული თამაშები, საშუალო შედეგიანობა) კვლავ სათავეში უდგას „შევარდენის" ფორვარდი ალეკო ბოყოჩაძე (ფოტოზე), რომელმაც მესამე წრეში 48 ბურთი გაიტანა. საერთოდ, ამ ტურმა ათეულში საკმაო ცვლილებები შეიტანა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორბელ გია ქობელაშვილის 3 ადგილით ანაცვლება.

| | | | |
|---|---|---|---|
| ალეკო ბოყოჩაძე, შევარდენი | 160 | 12 | 13,3 |
| ზაზა გაბრიჩიძე, მამული | 142 | 16 | 8,87 |
| ტიტე კალანდაძე, მამული | 62 | 7 | 8,86 |
| გია ქობელაშვილი, ორბი | 113 | 15 | 7,5 |
| მერაბ უშვერიძე, მამული | 73 | 10 | 7,3 |
| კობა თორდია, ამირანი | 117 | 17 | 6,9 |
| ბექა ორჯონიკიძე, შევარდენი | 101 | 15 | 6,7 |
| მიხეილ კერესელიძე, ამირანი | 95 | 15 | 6,3 |
| გია მამაცაშვილი, გორი | 42 | 7 | 6,0 |
| გიორგი თურქია, შევარდენი | 77 | 15 | 5,1 |




**ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!**

თუ გსურთ გახდეთ თბილისში, ვაკის რაიონში უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსისა და მშენებარე მეტრო „უნივერსიტეტის" მიმდებარე ტერიტორიაზე, მიწის ნაკვეთის და მასზე განლაგებული 4,5,6,7,8,9,10 და მეტ ოთახიანი ინდივიდუალური საცხოვრებელ სახლი-კოტეჯის, დამხმარე და სამეურნეო ნაგებობების მფლობელი, სასწრაფოდ მიმართეთ შემოქმედებით საწარმო სახელოსნო „ალნოს".

მისამართი: სასტუმრო „აჭარა" III სართული, ოთახი 312 ტელ. 36-94-12 98-78-40.

**ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲐᲒᲐᲠᲐᲙᲘ**

0,25 ჰექტარი მიწის ნაკვეთი საგარეჯოს რაიონის სოფელ მარიამჯვარში, ქვიტკირის სახლითა და ბაღით: 7 ძირი კაკალი, თხილი და ყოველგვარი მსხმოიარე ხეხილი 5 500 დოლარად

რუსთავი, მეგობრობის I გს 3-3.

ტელეფონი: 12-24-32 (უშანგი) 22-39-05 (ემზარი)




# ᲒᲣᲠᲐᲛ ᲛᲝᲓᲔᲑᲐᲫᲔ:
## ომანიძის რაგბში მოსვლა ორმაგად მახარებს

**დღესდღეობით რიგის ქუჩის 9 ნომერს ქართული რაგბისათვის განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია, რაკიღა თბილისში მოქმედი სარაგბო კლუბი არსადაა, ამ მისამართზე კი სახლობს გურამ მოდებაძე, იგივე „ძია ბურძგლა", რომლის ბინაცა და ეზოც ჭაბუკ მორაგბეებსა და მოწიფულ მწვრთნელებს სისტემატური თავშეყრისა და დისპუტების გასამართ ადგილად უქცევიათ. პოდა, ჩვენც ვეწვიეთ ვაკის ამ მყუდრო, მაგრამ ხმაურიან კუთხეს და მასპინძელს, რომელიც აღიარებული სპეციალისტია, ქართული რაგბის აწმყოსა და მომავალზე ჩამოვუგდეთ სიტყვა, რის შედეგადაც მრავალი საგულისხმო რამ შევიტყვეთ. თუ მოსმენილს შევაჯამებთ და დავწურავთ, „ძია ბურძგლას" მონოლოგი დაახლოებით ასეთი გამოგვივა:**



შეგირდი გია რაფავა და ოსტატი გურამ მოდებაძე საქართველოს პირველობის მოგებით ინტერნატების სტადიონზე ხარობენ

„ბოლო ხანებში ქართული რაგბი იღუპებოდა. მიზეზი ყველასათვის ცნობილია. ერთი, რომ ქვეყანაში გაჭირვებაა, მეორე კი ისა, რომ ხელმძღვანელობა არ გვივარგოდა. ავირჩევდით რაგბის კავშირის მორიგ პრეზიდენტს, იგი კი ისე მიგვატოვებდა ხოლმე, რომ თავდადგმული საქმე არაფერი რჩებოდა.

არადა, ჩვენი რაგბის რესურსები ამოუწურავი რომაა, ყველამ იცის და სახალხოდ ბევრჯერაც განმიცხადებია. ავიღოთ პირველი ჯგუფის ახალბედა — თბილისის „ლელო". ამ გუნდში გადასარევი ბიჭები იზრდებიან. „ლელოს" მწვრთნელი ბათუ კევლიშვილი მეთხუთმეტე წელია, სასწაულებს ჩადის. რაგბისათვის თავგანწირულმა ამ კაცმა იმდენიც მოახერხა, რომ მესამე მასივში რაგბის სტადიონიცააშენებინა. ეს ჭეშმარიტად გმირობის ტოლფასია. აბა, ვინ გაიხსენებს, თბილისში კიდევ სადმე რომ გაემართათ სტადიონი ბოლო 30 წლის მანძილზე? დანგრევით კი, გიხაროდეთ, ბევრი დაანგრიეს, სულ ახლახან — ვაკის სტუდქალაქში, სადაც მთელი თაობები დაზრდილან.

ანდა 33 წლის პაატა ნარიმანაშვილი ავიღოთ. მხატვარსა და მოქანდაკეს, თან ყოფილ მოთამაშესა და „აკადემიის" მოქმედ მწვრთნელს, არასოდეს უმსაჯია სსრკ სარბიელზე; მსაჯობის ხელოვნებას შინ ეზიარა, მაგრამ, ჩემი აზრით, დიდებულად მსაჯობს და მომავალი ხომ კიდევ უკეთესი აქვს.

ზემოთ „ლელოს" ბიჭები ვახსენე. კარგი ჯეელები ჰყავს „მერკურს", „თბილისს", „ყოჩებს" და, რა თქმა უნდა, ჩემს რუსთავის „აზოტს", რომელსაც იქაურთა მიწვევით აგერ უკვე მეორე წელი იწურება, რაც ვეხმარები. მახარებს, რომ ოვალურ ბურთზე გადარეულ რუსთაველ ბიჭებს — მინდორაშვილს, „ნიკორა" ხუციშვილს, ბერიშვილებს, პალიკო ჯიმშელაძეს, მაჩიტიძეს, მთელს პირველ ხაზსა და ყველას ჩემი შვილობილები — „შორო" კაკაბაძე და თემურ ქერდიყაშვილი წვრთნიან და დიდი საქმეების საკეთებლადაც აგულიანებენ.

რუსთავს მიზიდულობის მაგიური ძალა აქვს. ამიტომაა, რომ იკა ლეჟავა, „ლეონსიო" ჩიქვინიძე, „ბაია" იურინი და თვით „რაფო" — ბუმბერაზი გია რაფავა რომ წამომყვნენ ინდუსტრიული ქალაქის მეგობრულ კოლექტივში, რომელმაც დაარღვია თბილისისა და ქუთაისის ჰეგემონია და საქართველოს ჩემპიონის გვირგვინი ქვემო ქართლისაკენ გაიტაცა.

რაფავა რომ არ გამოვყო, სწორი არ იქნება. ჩემი აზრით, მისნაირი მონაცემები ჩვენში აქამდე არავის ჰქონია. მაღალია, ბრგეა, ღონიერია, მობურთალია, მებრძოლია. ჯიშითაც სპორტსმენია — დედა კალათბურთელობდა, ცხონებული მამამისი კი რაგბს თამაშობდა. გია დღეს უდიდესი ძალაა როგორც კლუბისთვის, ისე ნაკრებისათვის და თუ სათუთად მოვუვლით, მოვუფრთხილდებით ამ ნიჭიერ კაცს, ჩვენი რაგბის მომავალს ძაღლი ვერ შეჰყეფს.

მოგეხსენებათ, წლევანდლამდე რა ქაოსი სუფევდა ჩვენს რაგბში. ომი კი იყო, მაგრამ სხვა სპორტები თავიანთ ჩემპიონატებს მაინც ასრულებდნენ, ჩვენ — ვერა. წელს, როგორც იქნა, ვითარება შეიცვალა, რაც ახალი უფროსების დამსახურებაა — დეკემბერში რაგბის კავშირის ყრილობამ ახალი საბჭო და, რაც მთავარია, ახალი პრეზიდენტი — მურმან ომანიძე აირჩია.

ამ კაცის საქმიანი თვისებების შესახებ ადრეც ბევრი მსმენოდა. ბატონი მურმანი ყოველთვის ქველმოქმედებით იყო ცნობილი. ვიცოდი, რომ სპორტის დიდი ქომაგი და მცოდნეა, რასაც, სხვათა შორის, გულშემატკივართა მექის — ოპერის ბაღის საზოგადოება, მათ შორის ჩემი ეზოს ხშირი სტუმარი გურამ გიორგაძეც დამიდასტურებს. კარგი მოსაუბრე და მთხრობელიცაა, ადამიანებთან საერთო ენას იოლად პოულობს, რაშიც რაგბის კავშირის საბჭოს სხდომებზე დავრწმუნდი. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს წევრებისა და ბატონ მურმანის რანგებს შორის დიდი სხვაობაა, სხდომებზე მუდამ მეგობრული, ძალდაუტანებელი, უშუალო, შინაურული სულისკვეთება იგრძნობა. პრეზიდენტი უშუალოდ სარაგბო საქმეების გადაწყვეტას სპეციალისტებს გვანდობს, თავად კი ორგანიზაციულსა და ფინანსურ პრობლემებს ვირტუოზულად გვიგვარებს.

დიდ საქმეს შეჭიდებულებს დიდძალი ფული სჭირდებათ ხოლმე. ახალმა პრეზიდენტმა სახსრები ყველაფრისთვის გამონახა — შემოსა ორი: ჭაბუკთა და კაცთა ეროვნული ნაკრები; პირველი სათამაშოდ საფრანგეთს მიავლინა, მეორეს კი ივნისში შვეიცარიაში გაგზავნის; უყიდა ბურთები; ჰონორარები დაუნიშნა მსაჯებსა და რაგბის კავშირის საბჭოს წევრებს, რამაც ქართული რაგბის მმართველი ეშელონი ახლებურად, აქტიურადა და გულიანად აამუშავა; გარე სამყაროსთან დაკავშირება ჭირსო და პრეზიდენტმაც კავშირის ოფისს ციმციმ ფაქსის მანქანა გაუხერხა. აი, ამიტომაა, რომ დიდად ვემადლიერები ჩვენივე უნიათობით დაკარგულ თაობას — ზაზა ბაკურაძეს, დათო შუბითიძეს, მერაბ ბესელიას, მერაბ მარჯანიშვილს, მათ ტოლ-ამხანაგებს, აგრეთვე საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელს — თეიმურაზ ბენდიაშვილს, ბატონ მურმანთან რომ გვიშუამდგომლეს და რაგბში პრეზიდენტად მოიყვანეს.

სათქმელია ისიც, რომ ახალმა პრეზიდენტმა ზემოთხსენებულ ბიჭებს სხვაფრივაც გაუმართა ხელი, რაკიღა მხარში ამოიყენა, სწორად დააკვალიანა, საქმეს აზიარა და რაგბშიც დააბრუნა. უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი მურმანის ყოველდღიური საფიქრალი გამხდარა ისიც, რომ როგორმე რაც შეიძლება მეტი მოზარდი და ჭაბუკი ჩამოაშოროს ქუჩას, ნარკომანიას, დამნაშავეობას, რასაც იგი მათი სპორტში, უპირველეს ყოვლისა კი რაგბში ჩაბმით ფიქრობს.

ქართულ რაგბში ბატონ მურმანის მოსვლა ორმაგად მახარებს: ერთი რომ, როგორც შემიტყვია, სიტყვის კაცია და მზრუნველობას არ მოაკლებს ჩვენი რაგბის არცერთ რგოლს, რის გამოც ბოლო წლების ჩამორჩენის დაძლევის ნაღდი შანსი გვეძლევა. მეორეც, შევიტყვე, რომ თურმე რუსთავში იყრის კენჭს, რაც აგრეთვე ფრიად მსიამოვნებს, რაკიღა როგორც ზემოთ აღვნიშნე, რუსთავის გუნდთან სისხლხორცეულად ვარ დაკავშირებული და მგონია, რომ არჩევნებში ბატონ მურმანის გამარჯვება ქალაქის რაგბსაც სასიკეთოდ უნდა დაეტყოს — ჩვენმა პრეზიდენტმა ზემოთხსენებული დაკარგული თაობის წარმომადგენლებთან საქმიანი ურთიერთობით გამოცადა მორაგბეთა ვაჟკაცობა და ძმობა, რაც იმის საწინდარია, რომ ყველაფერი ქართული რაგბისა და სპორტის სასიკეთოდ მიიმართება. მით უფრო, რომ პრეზიდენტის უპირველესი ამოცანა რაგბის მთელს ქვეყანაში გავრცელებაა."

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲙᲠᲘᲐᲚᲝᲡᲐᲜᲘ

# ᲥᲕᲘᲜᲖᲚᲔᲜᲓᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ!

სამხრეთ ნახევარსფეროს პროვინციათა მეორე პირველობა — წლევანდელი „ზე-ათის სერიალი" ავსტრალიის ქვინზლენდის გამარჯვებით დასრულდა. ბრისბენელებმა შაბათს, 14 მაისს, სტუმრად — დურბანში მოუგეს სამხრეთი აფრიკის ნატალს 21 (12) (2ლ, გ, 2ს, ა) : 10 (0) (ლ, გ, ს).

ეს იყო პირველი დიდი თამაში, რომელიც განახლებულ სამხრეთ აფრიკაში ნელსონ მანდელას პრეზიდენტად კურთხევის შემდეგ გაიმართა. სახელი გამოეცვალა მასპინძელ პროვინციას — იგი ამიერიდან კვაზულუ-ნატალად იწოდება, მაგრამ საეჭვოა, რომ ნატალის რაგბის კავშირიც ამ ყაიდაზე მოინათლოს. ამ კავშირის ბინაზე — „კინგზ პარკზე" ფინალის საცქერლად დიდძალი ხალხი მოგროვდა.

თამაში მეტისმეტად უშელავათო და ხისტი გამოვიდა. ხუთი მონაწილე ისე დაშავდა, რომ მოედნის დატოვება მოუწია. გუნდებმა შუამარბები — მულერი და თომსონი (ნატალი) და ჰორანი და ლითლი (ქვინზლენდი) ერთიანად მოისაკლისეს, მეხუთე დაშავებული კი ქვინზლენდის ექს-ფიჯელი ფრთის მორკინალი ტაბუა იყო.

სტუმრები, რომლებიც „მუქ წითლებად" არიან ცნობილი, მე-3 წუთზევე დაწინაურდნენ. მათმა 10 ნომერმა ლაინაფმა, ვისაც იტალიაში გამოეზამთრებინა, მეტოქის 22-მეტრიან მოედანში უეცრად მარჯვნივ დიაგონალურად დაარტყა და გარემარბ ლიის ლელო გაატანინა. 28-ე წუთზე ტაბუას გარღვევის შემდეგ 8 ნომერმა სკოტ-იანგმა ლელოში შეაღწია, ლაინაფმა კი გარდასახა — 12:0. თუ პირველ ნახევარში ნატალი საკუთარ დერეფანს აგებდა, მისი უკანა-ხაზი კი გათითოკაცებული თამაშობდა, შესვენების შემდეგ ვითარება შეიცვალა. მცველმა ჟუბერმა ჯერ საჯარიმო შეაგდო, მერე კი გარემარბ ფანდერვესტჰოიზენის ლელო გარდასახა. ანგარიში 10:12 გახდა, მაგრამ თამაშის დასკვნით 15 წუთში ჟუბერს ორი საჯარიმოც გაუცუდდა, სულ კი იმ დღეს ხუთჯერ მოეცარა ხელი.

ლაინაფი, პირიქით, მშვენივრად ურტყამდა. მატჩის ბოლო ორ წუთში მან ჯერ არეკნი შეაგდო, მერე — საჯარიმო, წამატებულ დროში — კიდევ ერთი საჯარიმო და ქვინზლენდს შარშანდელი მარცხისთვის (15:32) ნატალისათვის სამაგიეროც გადაახდევინა.

**მსოფლიო რაგბის მამებმა, სიფრთხილეს თავი არა სტკივაო და ოფიციალურად გამოაქვეყნეს სათადარიგო ვარიანტი, რომელსაც მაშინ გამოიყენებენ, თუ სამხრეთ აფრიკაში შინაშლილობა და სამოქალაქო ომი ატყდება, რის გამოც იქ გაისად მსოფლიო თასის გამართვა ვერ მოხერხდება. მამების განჩინების თანახმად, თუ შეჯიბრების გადატანას ამა წლის 30 სექტემბრამდე დაადგენენ, მაშინ მასპინძლობა ავსტრალიას და ახალ ზელანდიას დაეკისრებათ, ხოლო თუ ვითარება ამ თარიღის შემდეგ გაუარესდება, მაშინ მსოფლიო თასის მთავარი მასპინძელი უელსი იქნება, ხუთი ერის პირველობის მონაწილე სხვა ქვეყნები კი სტუმრებს 1991 წლისეულ ყაიდაზე გადაიპატიჟებენ.**

## ჰოკეი

### NHL. სტენლის თასი.

# მეხუთე და ნავსიანი ოვერტაიმი

12, 14 მაისი

### მეოთხედფინალი

**ტორონტო 4-3 სან-ხოსე**

ტორონტო მეიფლ ლივზი — სან-ხოსე შარქსი 3:2, 4:2. სანხოსელ „ზვიგენებს", რომლებიც სერიას 3:2 იგებდნენ, წინა ხუთშაბათს ერთი შაიბაც უკლდათ სტომაქის ამოსაყორად: ვენდელ კლარკის ორი გოლი ლარიონოვმა და მცველმა ჯეფ ნორტონმა გაქვითეს და ოვერტაიმის მეორე წუთზევე იოჰან გარპენლოვს საქმის მოთავების შანსიც ჰქონდა, მაგრამ შაიბა კარის ძელს მოარტყა და „ტორონტომაც" ამოისუნთქა — ჯერ მაიკ გარტნერის გოლით სერიის ანგარიში გაათანაბრა, შაბათს კი მთლად დაძლა „ზვიგენთა" ხორცით: კლარკმა თავისი მე-7 და მე-8 გოლები შეაგდო, თითოც მარკ ოსბორნმა და დუგ გილმორმა დაუმატეს. ამას 24 ქულა (5+19) დაუგროვდა და ბომბარდირებში დაწინაურდა. სულ გილმორს სტენლის თასზე 47 გოლი და 95 პასი აქვს. სანხოსელმა მაკაროვმა წლევანდელი ფლეიოფი 8 გოლით დაასრულა, ლარიონოვმა — 5 გოლითა და 13 პასით.

15-18 მაისი

### ნახევარფინალი

**ნიუ-ჯერსი 1-1 რეინჯერზი**

„ნიუ-იორკ რეინჯერზს" სტენლის თასი უკანასკნელად 1940 წელს მოუგია, „ნიუ-ჯერსი" კი ლიგაში თავის მეოცე და საუკეთესო სეზონს ატარებს. „რეინჯერზმა" 1992 წელს სათასო სერია 4:3 მოუგო თავის ახლანდელ მეტოქეს, წლევანდელ რეგულარულ ჩემპიონატში კი ხუთჯერვე დაამარცხა.

ნიუ-იორკ რეინჯერზი — ნიუ-ჯერსი დევილზი 3:4, 4:0. ნიუ-იორკელებს, წინა ორ მეტოქესთან პრობლემა რომ არ ჰქონიათ, აღმოსავლეთი გაერთიანების ფინალში ჯერჯერობით გაუჭირდათ. პირველ თამაშს ისინი სერგეი ნემჩინოვის, სერგეი ზუბოვისა და ყოფილი ჩიკაგოელის, სტივ ლარმერის გოლებით 3:2 იგებდნენ, მაგრამ ძირითადი დროის დამთავრებამდე 43 წამით ადრე „ნიუ-ჯერსის" გოლეადორმა კლოდ ლემიემ (37 შაიბა ჩემპიონატში) ანგარიში გაათანაბრა, მეორე ოვერტაიმის მე-16 წუთზე კი სტეფენ რიშემ გაამარჯვებინა კიდეც „ეშმაკებს". ორივე ნიუჯერსელმა თავ-თავიანთი მე-6 გოლი გაიტანა წლევანდელ თასზე. მეორე თამაშში მარკ მესიემ თავისი მე-7 გოლი შეაგდო, ერთიც ნემჩინოვმა დაამატა, მეკარე მარკ რიხტერმა კი წლეულს მეოთხედ არ გაატანინა გოლი მეტოქეს. სხვათაშორის, მეთოთხმეტედ მოხდა, რომ ერთ-ერთმა გუნდმა ნოლზე მოუგო მეორეს, რაც ლიგის რეკორდია.

**ტორონტო 1-1 ვანკუვერი**

„ვანკუვერი" 24-ე სეზონს ატარებს ლიგაში, საუკეთესო შედეგს კი 1982 წელს მიაღწია, როცა სტენლის თასის ფინალში გავიდა. „ტორონტოს" 12-ჯერ მოუპოვებია თასი, რითაც მხოლოდ „მონრეალს" ჩამორჩება. „ნეკერჩხლის ფოთლები" შარშანაც გავიდნენ დასავლეთი გაერთიანების ფინალში და გრეცკის „ლოს-ანჯელეს კინგზთან" წააგეს. წლევანდელ რეგულარულ სეზონში „ტორონტომ" და „ვანკუვერმა" ერთმანეთს 2-2 მატჩი მოუგეს.

ტორონტო მეიფლ ლივზი — ვანკუვერ კენუქსი 3:2, 3:4. სერიის პირველ მატჩში, „ვანკუვერმა", როგორც იქნა, წააგო ოვერტაიმი, არადა წლეულს უკვე ოთხჯერ მოეგო დამატებით დროში. მეორე თამაშში ყველაფერი უოვერტაიმოდ გაირკვა: გადამწყვეტი გოლი „ვანკუვერის" ფინელმა მცველმა იურკი ლუმემ გაიტანა.

სამველ ლარიბიანი

წინა „სარბიელში" გამოგვრჩა იტალიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე დასახელებული ჰოკეისტთა სიმბოლური ნაკრები, რომელსაც დღეს გთავაზობთ: მეკარე ბილ რენფორდი (კანადა), მცველები მაგნუს სვენსონი (შვედეთი) და ტიმო იუტილა (ფინეთი), თავდამსხმელები იარი კური, საკუ კოივუ (ფინეთი) და პოლ კარია (კანადა).

# გადარჩებები... თუ კაცის ხორცს შეჭამ

... მხოლოდ თოვლი და ცა. ყინვა ძვალრბილში ატანს. დრო აღარ არსებობს. ხედავ ძმაკაცების და ნათესავების გვამებს. იცი, რომ მწვერვალს გადაღმა, მეორე ფერდობზეც გვამებია. ალბათ გვეძებენ. უმჯობესია აქ დავრჩეთ და მაშველთა ვერტმფრენს დაველოდოთ. კატასტროფის დღიდან კარგა ხანი გავიდა, აქამდე უნდა მოვეძებნეთ. შესაძლოა, ვერც გვიპოვონ, თვითმფრინავმა ხომ კურსი შეცვალა. ისინი ალბათ სხვაგან დაგვეძებენ. მალე შიმშილით დავიხოცებით.

ერთმა გაბედა და თქვა. ნაწილი არ დაეთანხმა. ისინი შიმშილით დაიხოცნენ. ვინც გადარჩა, ყველამ ადამიანის ხორცი ჭამა.

მონტევიდეოდან სანტიაგოში მიმავალ თვითმფრინავს კატასტროფა 1972 წლის 13 ოქტომბერს შეემთხვა. ჩარტერულ რეისს ჩილეში ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად ურუგვაის მორაგბეთა გუნდი „ოლდ ქრისჩიანზი" მიჰყავდა. სალონში 45 მგზავრი იყო — მოთამაშეები და მათი ნათესავები. სპორტსმენები მონტევიდეოს „ქრისჩიან ბრაზერს კოლეჯის" კურსდამთავრებულნი იყვნენ, 18-19 წლის ბიჭები. დისპეჩერმა პილოტს უკან დაბრუნება ურჩია, ალბათ მეტეოპირობების გამო. ბიჭებს კი ძალიან უნდოდათ თამაში. პილოტმა მათ ხათრი ვერ გაუტეხა და ანდებზე გადაფრენით სცადა სანტიაგოში ჩაფრენა. თვითმფრინავი მწვერვალს დაეჯახა და ორად გადატყდა. წინა ნაწილი ერთ ფერდობზე დაეცა, უკანა — მეორეზე. უკან ყველა დაიღუპა, წინ მსხდომთაგან ერთი ჯგუფი გადარჩა.

„საბოლოოდ რამ გვიშველა? ალბათ რწმენამ, რომ არ დავიხოცებოდით, სიცოცხლის წყურვილმა და, რა თქმა უნდა, ღვთის ნებამ. გვიშველა იმან, რომ მეგობრები ვიყავით, „ქრისჩიანზის" წევრები. ჩვენ ხომ რაგბს ერთად ვთამაშობდით. 19 წლის ბიჭებს არც ცხოვრებისეული გამოცდილება გაგვაჩნდა და, ბუნებრივია, არც ის გვეგებოდა, როგორ უნდა მოიქცეს მთებში ჩარჩენილი კაცი." — ასე მსჯელობს დღეს გუსტავო სერბინო, ერთ-ერთი გადარჩენილთაგანი, ბიზნესმენი და ურუგვაის რაგბის კავშირის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი.

მთაზე დაყრილთ ორი კვირის მანძილზე გუნდის კაპიტანი მარსელო პერესი თავკაცობდა. იგი იღებდა გადაწყვეტილებებს, ამხნევებდა მეგობრებს. ორი კვირის შემდეგ ზვავმა თვითმფრინავის ის ნახევარი, რომელიც დაკარგულთ სახლობას უწევდა, ადგილს მოსწყვიტა და სადღაც ჯანდაბაში ჩანთქა. დაიღუპა კიდევ ათი კაცი, მათ შორის მარსელო პერესი.

მარსელო ნიკოლა დღეს ურუგვაელი მორაგბეა. კატასტროფის დროს იგი ხუთი წლის იყო. არა, იმ თვითმფრინავში არ ყოფილა, იქ მისი დედ-მამა დაიღუპა. „მამაჩემი ფრანსისკო ნიკოლა არ აპირებდა ჩილეში გამგზავრებას, — იგონებს მარსელოს უფროსი ძმა ხოსე-ლუისი — მაგრამ უკანასკნელ წუთს იუნიორთა მწვრთნელს ოდონელს რაღაც საქმე გამოუჩნდა და მამას სთხოვა, შემცვალეო. მამას ძალიან უნდოდა წასვლა, მან ბუცებიც კი წაიღო, იქნებ მეც ვითამაშოო. იგი კარგი სპორტსმენი იყო, ცურვაში ურუგვაის ჩემპიონიც და ძლიერი მორაგბეც. მაშინ 12 წლის ვიყავი. მამა და დედა დაიღუპნენ. დავრჩით მე და უმცროსი ძმა. მარსელოს მამობა გავუწიე. მახსოვდა, როგორ იქცეოდა მამა და მეც ზუსტად ისე დავიწყე მოქცევა."

ალეხანდრო ნიკოლიჩი ახლა 37 წლისაა. იგიც მორაგბე იყო, ურუგვაის ნაკრების წევრი. სანტიაგოს თვითმფრინავში მისი 18 წლის ძმა გუსტავო იჯდა. „ჩვენ მას დაღუპულად არ ვთვლიდით, — ამბობს ალეხანდრო — მახსოვს, სამი თვე ისე ვიქცეოდი, თითქოს იგი ქალაქგარეთ პიკნიკზე ყოფილიყო გასული. მამაჩემმა თვითმფრინავი იქირავა და თავად ეძებდა გუსტავოს. როცა ვერაფერს გავხდით, მკითხავ ქალს მივადექით. თვითმფრინავში ყველა არ დაღუპულა, ნაწილი ცოცხალია და მთებში არის ჩარჩენილიო, — გვითხრა ნათელმხილველმა. იმედი მოგვეცა, მაგრამ როდესაც გადარჩენილნი მართლაც იპოვეს, მათ რიცხვში კი ჩემი ძმა არ იყო, იმედი საბოლოოდ გაგვიქრა. სხვები ზეიმობდნენ, ეს მათთვის ბედნიერი, ჩვენთვის კი საშინელი დღე იყო. მაშინ 15 წლის ვიყავი. ახლა, 22 წლის მერე, ვიცი, რომ ცხოვრების დიდი ნაწილი ძმის ხსოვნას მივუძღვენი. იგი ვეტერინარი უნდა გამხდარიყო, მეც ვეტერინარი გავხდი. იგი „ოლდ ქრისჩიანზში" თამაშობდა, მეც მაშინვე ამ კლუბში მივედი. რაგბის თამაშმა ტკივილი გაგვიყუჩა. მომდევნო 14 სეზონიდან „ქრისჩიანზი" 12-ჯერ ჩემპიონი გახდა."

ერთმა გაბედა და თქვა. ნაწილი დაეთანხმა, ნაწილი არა. ვინც არ დაეთანხმა, შიმშილით მოკვდა, ვინც დაეთანხმა გადარჩა. მათ მკვდარი მეგობრები შეჭამეს. 19 წლის ბიჭებმა სიცოცხლის შენარჩუნების ეს ჯოჯოხეთური გზა ირჩიეს.

მოგვიანებით ჰოლივუდმა, ერთ სისხლიან ისტორიას რომ არ დატოვებს გადაუღებელს, საზოგადოებას ფილმი ALIVE შესთავაზა. მან კვლავ გაალვიძა მიძინებული გრძნობები. მონტევიდეოს მახლობლად, პატარა ქალაქ კარასკოში კი, სადაც ძირითადად საშუალო კლასის წარმომადგენლები ცხოვრობენ და საიდანაც არიან „ქრისჩიანზის" ტრაგედიის მონაწილენი, ყველა ერთმანეთს იცნობს. „სულერთია, სად მიდიხარ, სუპერმარკეტში, ტანსაცმლის საყიდლად თუ კინოში, აუცილებლად შეხვდები რომელიმე დაღუპულის ნათესავს. ზიზღი დღემდე იგრძნობა, ოღონდ ისინი აგრესიულნი არ არიან. მათ გული სტკივათ, რომ გადარჩენილნი ლამის გმირებად შერაცხეს, დაღუპულებს კი არავინ იგონებს. ეს ასე არ არის, მაგრამ რას იზამ, ასეთია კაცის ბუნება, ამგვარად ფიქრობენ და მორჩა." — თქვა ერთ-ერთი გადარჩენილის ალვარო მანგინოს მეუღლემ მარგარიტამ.

ფილმის გადაღებას გადარჩენილი რობერტო კანესა, ნანდო პარადო, გუსტავო სერბინო, ალვარო მანგინო, დანიელ ფერნანდესი, კარლო ბაესი, მონკო სავეხა და მათი ცოლები დაესწრნენ. როდესაც ისინი გადაღების მოედანს ვერტმფრენით მიუახლოვდნენ, დაინახეს, რომ ირგვლივ მხოლოდ თოვლი და ცაა. „გავიყინე, თუმცა თბილად მეცვა. ელდა მეცა, თუმცა ადრე ათასჯერ მიცდია წარმომედგინა მათი მაშინდელი მდგომარეობა. გავშეშდი. მერე ცრემლი წამსკდა და ვტიროდი, ვტიროდი, ვტიროდი... " — ეს კვლავ მარგარიტა მანგინოს სიტყვებია — „ფილმმა მართლაც კარგი სამსახური გასწია. ალვაროს ბევრი რამ ჰქონია გულში დამარხული. ბევრი სურათი ცოცხლად წარმოუდგა თვალწინ. მან უეცრად ისეთი ეპიზოდების გახსენება დაიწყო, არასდროს რომ არ გახსენებია. ის თურმე ამ ხნის მანძილზე თავს დამნაშავედ გრძნობდა, რადგან ადამიანი შეჭამა. ამის შესახებ არასდროს უთქვამს, ახლა კი თქვა."

ალვარო მანგინო ფილმში მეორეხარისხოვანი გმირია. მას კატასტროფის დროს ფეხი მოტყდა, რის გამოც მისი როლის შემსრულებელი მსახიობი მხოლოდ კოჭლობს და რის ვაივაგლახით იკაფავს გზას. ამერიკის კინოდარბაზებში მაყურებლებს ეკითხებოდნენ, გჯერათ თუ არა, რომ ფილმი ნამდვილი ამბის მიხედვით არის გადაღებულიო. უმრავლესობამ უპასუხა, რომ ეს ისტორია აშკარად გამოგონილია.



გუსტავო სერბინოს (მარჯვნივ) 22 წლის წინ ხოსე-ლუის ნიკოლას მამა და ალეხანდრო ნიკოლიჩის (შუაში) ძმა შემოეჭამა

ბიჭები 22 დეკემბერს იპოვეს, 69 დღის მერე. უფრო სწორად, მათ თავად იპოვეს სამყარო, რომელიც ოდესღაც უდარდელებმა დატოვეს. ისინი მთიდან ეშვებოდნენ. ყოველი მომდევნო წუთი წინანდელზე უფრო კოშმარული იყო. თოვლისა და ყინულის სამფლობელოს ბოლო არ უჩანდა. პირქუში ბუნება კვლავ კარგს არაფერს უქადდა ამდენი ხნის ნატანჯთ, როდესაც ერთ-ერთს სადღაც შორს რაღაც სხვა ფერის ლაქა მოელანდა. იქნებ გაგიჟდნენ და ჰალუცინაციები დაეწყოთ. მაინც მიდიოდნენ, მაინც არ აპირებდნენ სიკვდილთან დანებებას. უცებ, თითქოს ჯადოსნობაო, თეთრი საფარი ერთბაშად გაქრა და ისინი მინდვრის პირას აღმოჩნდნენ. საიდანღაც მწყემსიც გამოჩნდა.

თექვსმეტი გადარჩენილიდან მორაგბე მხოლოდ ექვსი იყო. ისინი 1973 წლის მარტში კვლავ მოედანს დაუბრუნდნენ. წიგნ ALIVE-ის შემოსავალი კლუბის ოფისის ასაგებად დახარჯეს. მარცხენა ფეხის ტრავმის გამო სპორტს მხოლოდ ალვარო მანგინო ჩამოშორდა. „ჩემი ძმა ხორხე, რომელიც ხუთი წლის მანძილზე ეროვნული ნაკრების კაპიტანი იყო, კლუბში მობრუნდა, მეორე ძმა რაფაელი ფეხბურთს შეეშვა და რაგბში გადმოვიდა. ჩვენ ყოველდღე ვვარჯიშობდით. შევქმენით გუნდი, რომელიც 15 მეგობრისგან შედგებოდა და ყოველ მატჩს ისე ატარებდა, თითქოს უკანასკნელი ყოფილიყო. ამას დაღუპულთა ხსოვნა მოითხოვდა." — იგონებს გუსტავო სერბინო.

ჩილელი მაშველების ვერტმფრენში მხოლოდ რვა ადგილი აღმოჩნდა. თავად მაშველებმა დარჩენილ რვასთან გაათიეს ღამე. თვალი არავის მოუხუჭავს. ბიჭებმა მათ უამბეს, როგორ გადარჩნენ, ჩილელებმა ურჩიეს, რა და როგორ იყო, წვრილად ნურავის ეტყვითო. ბიჭებს ამ რჩევის მიყოლა არ შეეძლოთ, რადგან დაღუპულთა წინაშე მართალნი უნდა დარჩენილიყვნენ. მათ აღორძინეს რაგბის გუნდი და მთელი სული და გული თამაშში ჩააქსოვეს. „ჩვენ დაგვლალა ხალხისთვის იმის ახსნამ, რომ მომავალი წარსულზე მნიშვნელოვანია, თუმცა ხანდახან თავად არ გვჯერა ამის." — ამბობენ ისინი და ყოველწლიურად 22 დეკემბერს იკრიბებიან, რადგან ერთმანეთზე ახლობელი დედამიწის ზურგზე არავინ ეგულებათ.

ილია ბაბუნაშვილი



# კაპრიატის მარიხუანა უპოვეს

დიდ სპორტში მორიგი ნარკო-სკანდალი ატყდა. ორშაბათს, ფლორიდის ქალაქ ფორტ-ლოდერდეილის გარეუბან კორალ-გეიბლზის ერთ-ერთ სასტუმროში პოლიციამ ჩხრეკა მოაწყო და მარიხუანა იპოვა ოთახში, სადაც 18 წლის ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი ჯენიფერ კაპრიატი სახლობდა. კაპრიატი, რომელიც დიდ სარბიელზე ჯერ კიდევ სულ ყმაწვილქალი გავიდა, ბოლო დროს გადაიღალა და შარშან აგვისტოს შემდეგ შეჯიბრებებზე აღარც გამოჩენილა, მაგრამ როგორც ვიუწყებოდით, ივნისში ტურნირებზე დაბრუნებას აპირებს.

ჩხრეკის მიზეზი სხვა ყოფილა. პოლიცია ეძებდა სახლიდან გაპარულ ვინმე არასრულწლოვან ქალიშვილს, რომელიც გამოიჭირეს ვიღაც კაცთან ერთად. როგორც გაირკვა, ეს წყვილი კაპრიატის მანქანას აქეთ-იქით დააგელვებდა. პოლიციამ მანქანა რომ გასინჯა, იქ ჰეროინსა და კრეკად დამზადებულ კოკაინს მიაგნო, ძიებამ კი კაპრიატის საცხოვრისამდე მიიყვანა.

## აქეთური, იქითური

ამერიკელი მძლეოსნები აჩხოცდნენ და უარს არიან იასპარეზონ ეროვნულ პირველობაზე, რომელიც ტეხასის შტატში, ნოქსვილში უნდა გაიმართოს. მეამბოხეთა ერთ-ერთი თავკაცის, ლეგენდარული კარლ ლუისის თქმით, შეჯიბრების მარკეტინგი იმდენად შეუფერებელი [illegible] წარმომართავთ, რომ „გამარჯვებულებს" მცირედი ფულადი პრიზები თუ ერგებათ, რაც ბოიკოტის მიზეზთა მიზეზი გახდარა.

*

კვირას დასრულდა საგზატკეცილო ველოსპორტის ორი მნიშვნელოვანი შეჯიბრება — „ვუელტად" ცნობილი ესპანეთის ტური და ამერიკული „დიუპონის" ტური. ამ ტურების ვადების თანხვედრა მსოფლიო ველოსპორტის მამებს, ბუნებრივია, ხელს არ აძლევთ, ამიტომ საგაისოდ საერთაშორისო კალენდარს ახლებურად გეგმავენ: „ვუელტას" დანიშნავენ სექტემბრისათვის, რითაც სეზონსაც გაახანგრძლივებენ და ევროპელებსაც ჩაბამენ ამერიკის ტურში. „ვუელტის" უდროოდ გამართვამ ესპანეთის კერპს — გალისიელ მიგელ ინდურაინს მონაწილეობაზე ხელი აღებინა, რაკიღა თურმე იტალიისა და საფრანგეთის ტურებისათვის ემზადება. ინდურაინი ერს იმასაც შეჰპირებია, გაისად აუცილებლად ვირბოლებო. მის არყოფნაში ფავორიტად 33 წლის შვეიცარიელი ტონი რომინგერი მიიჩნეოდა. მართლაც, მან მოიგო ტურის პირველივე ეტაპი — ვალიადოლიდში გამართული 9-კილომეტრიანი სინჯი და ლიდერობა ტურის ბოლომდე — მადრიდამდე შეინარჩუნა, სულ კი სამი კვირის განმავლობაში 17 გუნდის 170-მა მრბოლმა იასპარეზა 21 ეტაპზე, რომელთა ჯამურმა სიგრძემ 3500 კილომეტრი შეადგინა. მეორე და მესამე ადგილებზე ესპანელები — მიგელ სარაბაეტა და პედრო დელგადო გავიდნენ, შვიდი ეტაპი კი ფრანგი ლორან ჟალაბერის გამარჯვებით დასრულდა. რომინგერმა „ვუელტაში" ზედიზედ მესამედ გაიმარჯვა. მეორე ეტაპის ფინიშზე დრამაც დატრიალდა — იტალიელები ადრიანო ბაფი და მარიო ჩიპოლინი ერთურთს დაეჯახნენ, რის შედეგადაც ჩიპოლინი ლობეს შეასკდა, მძიმედაც დაშავდა და რბოლას გამოაკლდა, მაგრამ არ მომკვდარა. რაც შეეხება ამერიკის ტურს, რომლის ხანგრძლივობაც ბარემ ერთი კვირით ჩამოუვარდებოდა „ვუელტისას", იგი რუსმა ვიაჩესლავ ეკიმოვმა მოიგო, მეორე ამერიკელი ლანს არმსტრონგი იყო, ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა კი დაადგინა, რომ ამა წლის ნოემბრიდან სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯოს იმ მრბოლებს, ვისაც ზედიზედ სამი წლის მანძილზე სამჯერ გამოიჭერს დოპინგზე.

*

შეფილდში გამართა სნუკერის მორიგი მსოფლიო პირველობა. სნუკერი ბილიარდის სახეობაა. იგი ამერიკულ პულზე უფრო რთული და შინაარსიანია. მას თამაშობენ 22 ბურთულით, რომელთაგან 15 ვარდისფერია, დანარჩენები კი, თითო-თითოდ — სულ სხვადასხვა ფერისა. სხვადასხვა ფერის ბურთულებს თავიანთი დანიშნულება, ფასი და მოპყრობის წესი აქვთ. წლევანდელი პირველობა მოიგო სტივენ ჰენდრიმ, ვინაც ამაღელვებელ ფინალში 18:17 მოუგო ჯიმი ვაითს. ამ გამარჯვებით ჰენდრი ზედიზედ მესამედ გახდა ჩემპიონი, ვაითმა კი მეექვსე ფინალი წააგო. ჰონორარად მოგებულს 180 ათასი გირვანქა ერგო, წაგებულს — 110 ათასი.

*

ბრიტანული თანამეგობრობის თამაშები წელს კანადის ქალაქ ვიქტორიაში უნდა გაიმართოს. მართალია, სამხრეთი აფრიკა 1961 წელს თავისი ნებით გავიდა თანამეგობრობიდან და ამ გაერთიანების სხვა წევრთა მიერ ათვალწუნების გამო, რომც მოენდომებინა, ვერც იასპარეზებდა ინგლისურენოვანი სამყაროს მინიოლიმპიადაზე, მაგრამ ახლა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ აპარტეიდის ჰირმოხდილ ქვეყანას მთელი თანამეგობრობა გულში ჩაიკრავს. მანდელას ახალი მთავრობის სპორტის მინისტრს — შვეტეს ოფიციალურად ჯერაც არ მიემართა თამაშების ორგანიზატორებისათვის, მონაწილეობა გვსურსო, რომ ამათ „პროთეათა" დელეგაციისათვის ვიქტორიაში 150 ადგილი დაჯავშნეს.

აქეთური, იქითური

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით
ინდექსი 66441
რაიონებისთვის გაზეთის ფასი სახელშეკრულებოა

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი თამაზ მიბრიაული
რედკოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)